844/2
X - XII
14
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 216 (744) პარასკევი, 1 ოქტომბერი, 1993 წელი ფასი 50 კუპონი.

პირველი სვეტი

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობა

29 სექტემბერს საღამოს მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანმა რაზმებმა, რომელთა რიგებში ჭარბობდნენ რუსები, ჩეჩნები, ადიღეელები და სხვა დაქირავებულები, მძიმე ტექნიკის, არტილერიისა და გემების გამოყენებით განახორციელეს ფართომასშტაბიანი შეტევითი ოპერაცია ოჩამჩირის მიმართულებით. მოწინააღმდეგემ ოჩამჩირეს ერთდროულად შეუტია ზღვიდან, სადაც გადმოსხა მრავალრიცხოვანი დესანტი და ხმელეთიდან ტყვარჩელისა და სოხუმის მხრიდან, მასირებული საარტილერიო ცეცხლი დაუშინა ჩვენს პოზიციებს და ქალაქ ოჩამჩირეს. განსაკუთრებით ძლიერი იყო შეტევა ზღვიდან, სადაც მოქმედებდა სპეციალური მომზადებული, ძირითადად რუსი დაქირავებულებისაგან დაკომპლექტებული დესანტი.

მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, მოხერხდა მოსახლეობის დიდი ნაწილის ევაკუაცია. ისინი გადმოყვანილი არიან გალის რაიონში.

გამთენიისას ოჩამჩირე დაეცა. ამჟამად საქართველოს შეიარაღებული ძალები განლაგებული არიან მდინარე ღალიძგასთან, ხოლო ბრძოლები მიმდინარეობს ცაგერას, არადუს მერკულასა და ბესლახუბას პოზიციებზე. სოხუმის შემდეგ ოჩამჩირის ტრაგედია სხვადასხვა მიზეზებმა განაპირობეს, უარყოფითი როლი ითამაშა პანიკამ, რომელმაც მეომართა გარკვეული ნაწილი მოიცვა. სოხუმის დაკარგვის შემდეგ შეიარაღებულ ძალებზე უაღრესად უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოში ექსპრეზიდენტის გამოჩენამ, რომლის მოწოდებებმა და მითითებებმა თავის მომხრეებისადმი გაზარდა უნდობლობის ფაქტორი შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში. ვერ მოხერხდა ოჩამჩირის დაჯგუფების ერთიანი სარდლობის შექმნა და ერთი გეგმის მიხედვით მოქმედება. დაირღვა ჯარის უმთავრესი პრინციპი — ერთმმართველობა.

ექსპრეზიდენტის მომხრე სამხედრო ფორმირებათა ერთმა ნაწილმა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად, უკანდახეული სამხედრო შენაერთების განიარაღება დაიწყო. მაგალითად, 30 სექტემბერს გამთენიისას გაცხარებული ბრძოლის დროს ლოთი ქობალიას ფორმირება ზურგიდან თავს დაესხა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკის მეომართა ერთ ჯგუფს, განაიარაღა ისინი და წართმეული 47 ავტომატით დაიძრა ზუგდიდისაკენ. ამ დროს კი მოწინააღმდეგე აგრძელებდა წინსვლას ოჩამჩირის მიმართულებით. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ქართულმა საჯარისო ფორმირებებმა სათანადო წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს მტერს, ვერ მოიგერიეს მათი შეტევა და დაიხიეს გალის რაიონში.

გალისკენ გაემართნენ

ფოთი. „იბერიის“ კორესპონდენტთან საუბარში ქ. ფოთიდან სამეგრელოს რეგიონისკენ გასვლელ პიკეტზე მდგომმა ჯარისკაცებმა განაცხადეს, რომ ამავე გზის [illegible] კილომეტრზე, [illegible] გამოჩნდნენ ზ. გამსახურდიას მომხრე შეიარაღებული ფორმირებები. მათ მალთაყვიდან გაიყვანეს სამხედრო ტექნიკა და გალის მიმართულებით გაემართნენ.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

საქართველოს უბედურების მასშტაბი ისეთია, რომ საჭიროა დახმარების სასწრაფო შეთანხმებული საერთაშორისო პროგრამა

ედუარდ შევარდნაძის განცხადება

პრაქტიკულად დაუცველი სოხუმის ათდღიანი შტურმი, ბარბაროსული ცეცხლი და საცხოვრებელი უბნების დაბომბვა, სამოქალაქო მოსახლეობის გაჟლეტა დამთავრდა მკვდარი ქალაქის აღებით. სისხლიან სასაკლაოზე გადარჩენილი მშვიდობიანი ქართველი მცხოვრებნი იზიარებენ ქუჩის ბრძოლებში ქალაქის დამცველი თავიანთი თანამემამულეების ხვედრს: მათ ხვრეტენ ადგილზე, რითაც არღვევენ მორალისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს. „გაურკვეველ გარემოებაში“, როგორც წერენ მკვლელთა ბანდების სულისჩამდგმელნი, სიკვდილით უსწორდებიან ტყვედ ჩავარდნილებს, მათ შორის და, უპირველეს ყოვლისა, იმ ადამიანებს, რომლებიც ესწრაფვოდნენ მშვიდობას და ყოველ ღონეს ხმარობდნენ მის მისაღწევად.

სოხუმი რომ აიღეს, რუსმა, ჩეჩენმა, აფხაზმა ბოევიკებმა შემდეგ დაანგრიეს გულრიფშის რაიონი, დაწვეს ქალაქი ოჩამჩირე და ახლა საფრთხე ემუქრება აფხაზეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქართულ რაიონს, გალის რაიონს და მის ასიათასიან მოსახლეობას.

ეთნიკურმა წმენდამ, რომლის განხორციელებაც სეპარატისტებმა მეთოდურად დაიწყეს მდინარე ფსოუდან, ახლა მთელი აფხაზეთი მოიცვა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეთნიკურმა უმცირესობამ პირველად დაამკვიდრა თავისი ძალაუფლება მასობრივი ძალადობისა და ტერორის მეთოდით.

მისი ლიდერები ვერ მიაღწევდნენ ამას გარეშე ძალის დაუხმარებლად. აფხაზური სეპარატიზმი იმპერიული რუსეთის, ეროვნულ-კომუნისტური რევანშის რუსეთის მიერ არის გამოზრდილი, ნასაზრდოები, წახალისებული და წარმართული.

რუსეთის მხარემ, რომელმაც იკისრა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების დადების ინიციატორისა და მისი განუხრელი შესრულების გარანტის როლი, „გამოეპარა“ მისი ჩაფუშვისათვის აქტიური მზადება. მთელი ქვეგანაყოფები და ათობით ერთეული მძიმე საბრძოლო ტექნიკა დამალეს ან დატოვეს პოზიციებზე, რათა შეთანხმებულ მომენტში თავს დასტყდომოდნენ სოხუმსა და დასახლებულ პუნქტებს ოჩამჩირის რაიონში. დაუფარავად მიმდინარეობდა ამისათვის მზადება, დაუფარავად ხორციელდებოდა ქართული მოსახლეობის დაშინების აქციები, რომლებსაც ატოვებინებდნენ აფხაზი სეპარატისტების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიას.

იმ განცხადების მიუხედავად, რომ მკაცრი კონტროლია დაწესებული მდინარე ფსოუზე გამავალი საზღვრისადმი, 16 სექტემბრის შემდეგ აქედან გუდაუთაში რუსეთის მხრიდან დაუბრკოლებლად შედიოდნენ სატრანსპორტო საშუალებები შეიარაღებული დაქირავებულებით, ტექნიკით, ტყვია-წამლით. ბომბორას აეროდრომზე ეშვებოდნენ დატვირთული თვითმფრინავები. იერიშისა და დაპყრობის არსენალს განუწყვეტლივ ემატებოდა მძიმე ქვემეხებიდან და „გრადის“ ტიპის დანადგარებიდან ქალაქისათვის ცეცხლის დაშენა, რომელთა დროს სოხუმს ყოველდღე ხუთასიდან რვაასამდე ჭურვი ხვდებოდა, მოწმობს, რომ მათი მარაგი არ ილეოდა. დამპყრობლები ბრძოლას უახლესი იარაღით აწარმოებდნენ. საბრძოლო მოქმედების წარმოების ხასიათი, უდავოდ, მათი დაგეგმვისა და წარმოების პროფესიული ხარისხითა და დონით გამოირჩეოდა. მათ ერთიანი ცენტრი მართავდა.

ამ საომარი ავანტიურის სულისჩამდგმელებმა და ორგანიზატორებმა არანაირი შედეგის წინაშე უკან არ დაიხიეს. შედეგი კი გახლავთ დანგრეული ქალაქი, ათასობით დახოცილი, დაჭრილი, უგზო-უკვლოდ დაკარგული. ამჟამად, ზემო სვანეთის გზებითა და ბილიკებით დასავლეთ საქართველოსკენ მიიწევს 120 ათასი ლტოლვილი, რომლებიც წინაპართა მიწაზე სიკვდილს გაექცნენ. მათ შორის 58 ათასი ბავშვია, 45 ათასი ქალი, დანარჩენები — მოხუცები, ინვალიდები, დაჭრილები. მათი თანამგზავრია შიმშილი, გაყინვის, მასობრივი დაავადების, მკაცრ მაღალმთიანეთში სიკვდილის საფრთხე. მშობლიური ადგილებიდან ათასობით ქართველის აყრით გამოწვეულ ტანჯვას კიდევ უფრო ამძიმებს საერთო-ეროვნული ტრაგედიის გაცნობიერება, რაც დაატრიალა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციამ და მისი მთლიანობის დარღვევის უაღრესად გაზრდილმა საშიშროებამ. ნაღალატევი და გაყიდული ხალხი — რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო საშინელი! დიდმპყრობელობისა და ეროვნული მოღალატეობის მსახვრალი ხელით თავს დატეხილი უბედურება კიდევ დიდხანს გაჰყვება საქართველოს. მაგრამ არა მარტო მას. უახლოეს და შორეულ პერსპექტივაში გუდაუთის მფარველთა ორმაგი სტანდარტის პოლიტიკის შედეგები თავს იჩენს მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეზე, და დანარჩენ მსოფლიოსაც გადასწვდება. ჩვენ გაფრთხილებთ: საქართველო მხოლოდ ტოტალური იმპერიული რევანშისათვის დაპროგრამებული მანქანის საცდელი პოლიგონი გახლავთ.

სოხუმის დაცემის შემდეგ ყოველივე ამას განზრახ აფუჩეჩებენ. არ ასახელებენ ტრაგედიის ნამდვილ მიზეზებსა და დამნაშავეებს. მსოფლიო საზოგადოებრიობის მთელი ყურადღება გადააქვთ დაპყრობილი რაიონების მოსახლეობის ჰუმანურ დახმარებაზე, მშვიდობიან მოქალაქეთა ევაკუაციის მასშტაბზე, ოკუპირებული რაიონებიდან ლტოლვილების გამომყვან ხომალდებზე.

ჩვენ უდიდეს მადლობას ვიხდით ამ დახმარებისათვის და ვითხოვთ, რაც შეიძლება მეტად გაზარდონ მისი მასშტაბი. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თანამოქალაქეთა ხსნის აქციებში მონაწილეთა რიცხვი გაიზრდება სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების — წითელი ჯვრის, გაეროს ლტოლვილთა საქმეების, უზენაესი კომისრის სამმართველოს, თავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხარჯზე. ჩვენდა საუბედუროდ, მისი შესაძლებლობები და პრაქტიკული ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების, ომის განახლების თავიდან აცილებისათვის. ახლა იძულებული ვართ ვთხოვოთ გაეროს გენერალურ მდივანს, მის საქვეუწყებო ინსტიტუტებს: დაგვეხმარეთ, რათა თუნდაც შიმშილის, სნეულებების, დაღუპვისაგან ვიხსნათ ათიათასობით ჩვენი თანამემამულე — გარეშე ძალის, სეპარატიზმის, ეთნოციდის სტრატეგიული ინტერესების უზრუნველყოფის დანაშაულებრივი პოლიტიკის მსხვერპლნი რომ გახდნენ. ანალოგიური თხოვნით მივმართავთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, გერმანიას, ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას, კანადას, იაპონიას, დასავლეთისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს. საქართველოს უბედურების მასშტაბი ისეთია, რომ საჭიროა დახმარების სასწრაფო შეთანხმებული საერთაშორისო პროგრამა.

იმედს ვამყარებ რა ყველა იმათ გულმოწყალებასა და გულისხმიერებაზე, თანაგრძნობაზე, ვინც გამოეხმაურება ამ თხოვნას, წინასწარ გიხდით მადლობას ამ დახმარებისათვის.

უკანასკნელ საათს

„სამოქალაქო ომი დაუშვებელია“

30 სექტემბერს საქალაქო შტაბის სხდომაზე, რომელსაც ქალაქის მერი კოტე გაბაშვილი უძღვებოდა, განიხილეს თბილისში საგანგებო წესების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

სხდომაზე ითქვა, რომ არსებობს ქალაქში დივერსიული ჯგუფების შემოსვლის რეალური შესაძლებლობა. მათი მიზანია თბილისში დესტაბილიზაციისა და დაძაბულობის შექმნა. მოსალოდნელია ექსპრეზიდენტის მომხრეთა მხრივ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებზე თავდასხმები. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მუშაობის კოორდინაცია და კონტროლის გაძლიერება.

სხდომა შეაჯამა სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. მან აღნიშნა, რომ კრიზისი ქვეყანაში კიდევ უფრო ღრმავდება. ამას ხელს უწყობს ექსპრეზიდენტის ყოფნა სამეგრელოში, რამაც, თავისთავად, უდიდესი უარყოფითი როლი შეასრულა სოხუმის დაცემაში. მისი აზრით, ქართველი ხალხი, თბილისელები, რომელთაც კარგად აქვთ შეგნებული სამოქალაქო ომის საშიშროება, არ დაუშვებენ კონფრონტაციის გამძაფრებას, ყოველ ღონეს იხმარენ საქართველოს გადარჩენისათვის.

• • •

იგივე პრობლემებს შეეხნენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძისა და თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შეხვედრაზე.

ისაუბრეს რესპუბლიკაში, მის დედაქალაქში შექმნილ რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე. განაცხადეს, რომ თბილისელები მზად არიან რეალური დახმარება გაუწიონ ხელისუფალთ, რათა განმტკიცდეს მართლწესრიგი ქალაქში. აღინიშნა, რომ საზოგადოებრიობის ძალები უკვე ქმნიან მოქალაქეთა ჯგუფებს.

შეხვედრაზე ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან საქართველოში სამოქალაქო ომი. ამისათვის სერიოზული მუშაობა დაიწყება. დიდი ხნის განმავლობაში, თქვა მან, როგორც ირკვევა, ვცდილობდით შეგვეთავსებინა ერთმანეთთან შეუთავსებელი. ვიწყალებდით და ამნისტიით ვუშვებდით პირებს, რომლებიც პოლიტპატიმრებად ასაღებენ თავს მაშინ, როცა ავტომატით ხელში აწყობდნენ ბანდიტურ თავდასხმებს. ვუშვებდით მანიფესტებს, ვთხოვდით ჩვენთან ერთად დამდგარიყვნენ საქართველოს მაღალი ინტერესებისათვის. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო, რადგან რეალური საპასუხო რეაქცია ამ კეთილი ნების ჟესტს არ მოჰყოლია. ზოგიერთი, სამწუხაროდ, ახლაც ცდილობს საქართველოს დღევანდელი სიტუაცია გამოიყენოს თავისი პოლიტიკური ამბიციების, შორს გამიზნული ანგარებიანი მიზნების განსახორციელებლად. ყველა ეს ცდა უზნეობაა. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ სამოქალაქო ომის თავიდან აცილებისათვის.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლის ოფიცრების და მსმენელების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლის ოფიცრები და მსმენელები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასლის 1-ლი ხარისხის ორდენით:

ბადრი ბერაძე — ლეიტენანტი, მსმენელი;
ზაქარია ვეშაპური — ლეიტენანტი, მსმენელი;
ერნესტ კუჭხა-კვინიკაძე — ლეიტენანტი, მსმენელი;
ნუგზარ მარშანიშვილი — ლეიტენანტი, მსმენელი;
ლევან ცისკარიშვილი — ლეიტენანტი, მსმენელი.

(დასასრული მე-2 გვ.).

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი დახმარებას უწევს

ჟენევა, 28 სექტემბერი (იტარ-საკდეს-საქინფორმი). ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გამწვავების პირობებში დაზარალებულ სამოქალაქო მოსახლეობას დახმარებას უწევენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომლები. შვეიცარიის დეპეშათა სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში ამ ორგანიზაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დღეს განაცხადა, რომ სოხუმში იმყოფება ამ კომიტეტის სამი დელეგატი. მათი პრიორიტეტული ამოცანაა თვალი ადევნონ ქართული მოსახლეობის მიმართ ჰუმანური უფლებების ნორმების დაცვას იმ პირობებში, როცა ქალაქი აიღეს აფხაზური მხარის შეიარაღებულმა ძალებმა.

ახლა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ამზადებს ოპერაციას გუდაუთიდან სოხუმში სურსათის ჩასატანად, რომელიც განხორციელდება სახმელეთო ტრანსპორტით. წითელი ჯვრის ორი დელეგატი გაემგზავრა ფოთის ნავსადგურში, საიდანაც წარმოებს ლტოლვილთა ევაკუაცია რუსეთის გემებით.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის გეგმებში შედის გუდაუთიდან ვერტმფრენებით მედიკამენტების ჩატანა ალყაშემორტყმულ ტყვარჩელში, სადაც იმყოფება წითელი ჯვრის ორი წარმომადგენელი. ჟენევიდან საქართველოში უახლოეს დღეებში გადმოფრინდება თბილისის მცხოვრებთათვის მედიკამენტებით დატვირთული თვითმფრინავი.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის კონტაქტები

ჟენევა, 30 სექტემბერი. (იტარ-საკდეს-საქინფორმი). ეხმარებიან რა დაზარალებულ სამოქალაქო მოსახლეობას ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ზონაში, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომლებს „კონტაქტები აქვთ სხვადასხვა მხარეებთან“, განაცხადა ოთხშაბათს ინტერვიუში ამ ჰუმანიტარული ორგანიზაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პიერ გოტიემ. „ჩვენ ძალიან კარგად გვიცნობს ორივე მხარე, — აღნიშნა მან. — როგორც ყველაფრიდან ჩანს, წითელი ჯვარი პატივისცემით სარგებლობს.

ვითარების გამწვავების მიუხედავად, კრიზისულ რეგიონში კვლავინდებურად მუშაობს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის შვიდი დელეგატი. სამი — სოხუმში, ორი გუდაუთასა და ორი — ტყვარჩელში. დღეს ჟენევის შტაბ-ბინაში გაგზავნილ ცნობაში წითელი ჯვრის წარმომადგენლები გუდაუთაში აცნობებენ, რომ აწარმოებენ მოლაპარაკებას დაპირისპირებულ დაჯგუფებებთან, რათა მიეცეთ შესაძლებლობა დაუბრკოლებლად მივიდნენ ხოლმე ტყვეებთან. სოხუმში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომლებმა გადასცეს სამედიცინო მასალები და წამლები ერთ-ერთ ჰოსპიტალს. ხუთშაბათს დელეგატები აპირებენ ეწვიონ ფოთის ჰოსპიტალს. ტყვარჩელიდან ინფორმაცია არ არის.

ტყიბული

რუსულ-აფხაზური ფაშიზმის მსხვერპლთა გამო...

ეს არ არის წერილი. ეს არის მუჭა მიწა, რომელიც უსაფლავოდ დარჩენილ ჩემიანებს — ჩემს ვასო მესხსა და ქსენო ქაცარავას უნდა მივაყარო...

ისინი 27 სექტემბერს ბარბაროსულად დახოცეს სოხუმში, საკუთარ სახლში, ორ მეზობელთან ერთად, მხოლოდ იმის გამო, რომ ქართველები იყვნენ!

ვასო მესხსა და ქსენო ქაცარავაზე იმიტომ არ ვწერ, ჩემი ახლობლები და ჩემი საყვარელი ადამიანები რომ იყვნენ! — მათი ბედი აფხაზეთის ქართველობის ბედია, სწორედ იმათი ბედი, რუსულ-აფხაზური ფაშიზმის საშინელებას რომ შეეწირნენ!

რამდენია ეს მსხვერპლი! — ასი კაცი? ათასი? ასიათასი? ვინ იცის! ჯერ ხომ მათი ჟლეტა არ დასრულებულა, ჯერ ხომ მათი გენოციდი არ დამთავრებულა, ჯერ ხომ რუსულ-აფხაზური ფაშიზმის ლიდერები თავიანთი ფაშისტური ტელევიზიით ყოველღამ იმეორებენ, ნუღა გაგყავთ ლტოლვილები, იცხოვრონ აგერ, ჩვენ გვერდითო! ჩვენც, რა თქმა უნდა, დავიჯერებთ და დავუტოვებთ კაციჭამიებს ჩვენს სისხლსა და ხორცს, რათა სვან მათი სისხლი და გლიჯონ მათი ხორცი...

ჯერ კიდევ როდის დაწერა აფხაზმა მწერალმა მოთხრობა, რომელშიაც აფხაზი სვამს ქართველის სისხლს!

აჰა, მომზადდა იდეოლოგიურად ქართველთა გენოციდი საკუთარ მიწაზე!

ვასო მესხი არ იყო ვიღაც მესხი! ვასო მესხი გახლდათ ვინმე მესხის შთამომავალი, და მისთვის გაუგებარი იყო, როცა ვურჩევდით, დატოვე ყველაფერი და წამოდი! — არ ესმოდა, თუ მას, ნამდვილი აფხაზეთის წარმომადგენელს, ყოველი სოხუმელის პირისა და ლხინის მოზიარეს, თავისი ქალაქის წინაშე დამსახურებულ კაცს რატომ უნდა დაეტოვებინა სამშობლო! სანამ სატელეფონო კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა, დღე არ გავიდოდა, ათჯერ მაინც არ დაგვერეკა! — ყოველი დაბომბვის მერე ვცდილობდით გაგებას, გადარჩნენ თუ არა ცოცხლები! ბოლოს რაღაც იმედი გაუჩნდათ... ვხუმრებოდი, ამ სატელეფონო საუბრების ქვითრებს ყველას შენ და ქსენოს გაგანაღდებინებთ-მეთქი! იმ საუბრებიდან ვიცი მე არა მარტო ვასო მესხისა და მისი უსათნოესი მეუღლის, არამედ მთელი აფხაზეთის ქართველობის მწარე ფიქრი და მცირე იმედი!

როცა 1989 წელს რუსეთმა პირველად გაითამაშა აფხაზური კარტი, მე მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე მოხსენება წავიკითხე ლიხნის ამბებთან დაკავშირებით: „აფხაზეთი — ნამდვილი, აფხაზეთი — მოგონილი!“ ვასო მესხმა დამირეკა, მახსოვს, და სათაური მომიწონა: ნამდვილი აფხაზები, შერვაშიძეებთან და ანჩაბაძეებთან, მარშანიებთან და გურგულიებთან ერთად, მე ვარ, და არა მთიდან ჩამოთესლებული აფსუები, რომელთაც ჩვენი ქრისტიანული კულტურის არც არაფერი ესმით და ვერც ვერასოდეს გაიგებენ! ხომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ცხოვრებამ ამ ორი აფხაზეთის — ნამდვილი და მოგონილი აფხაზეთის — არსებობა! — აბორიგენი ასეთი ვნებით ვერ დააქცევს საკუთარ ქვეყანასა და ქალაქს, ასე მოქცევა მხოლოდ გადამთიელს, მხოლოდ უცხო თესლს შეუძლია! ამიტომ არ წამოვიდა ვასო მესხი სოხუმიდან, არ წამოვიდა პრინციპულად! — მე მთელი ცხოვრება ჩემს კუთხესა და ქალაქს, იმავე აფხაზებს ვემსახურე, და თუ მხოლოდ ქართველობისთვის უნდა დაგვხოცონ, დაგვხოცონ ბატონო...

უკანასკნელად გურამ ფანჯიკიძესა და გენო კალანდიას უნახავთ! როგორც მათ მითხრეს, ვასო მესხის პოზიცია ურყევი იყო!

1984 წლის 2 ნოემბერი მაგონდება, ჩვენი შვილების ქორწილი! რა ძმობა და სიყვარული იყო იმ დღეს ჩვენსა და აფხაზებს შორის, რა სიტყვა, რა სადღეგრძელოები, რა საჩუქრები, რა სითბო! ნუთუ ფარისევლობა იყო ეს ყველაფერი, ნუთუ სწორედ მათ დახოცეს ფუტკარივით მშრომელი ცოლქმარი, მეზობელზე, ნათესავზე, მთელ სოხუმზე გადაგებული ქართველები! და დახოცეს იმიტომ მხოლოდ, რომ ქართველები იყვნენ? ამის დაჯერება ნამდვილად არ შეეძლო ვასო მესხს, და ამიტომაც დაიღუპა...

რა ქნან ახლა მისმა შვილებმა, სად იტირონ მშობლები! როგორ იტირონ! როგორ მოიპოვონ მათი ნეშტი, როგორ მიაყარონ მიწა... ან ისინი როგორ დაიტირონ ჭირისუფლებმა, ვასოსა და ქსენოს მსგავსად რომ ჩახოცეს საკუთარ სახლებში ბარბაროსებმა! ან იმათ რა ეშველებათ, ხვალ-ზეგ იგივე ბედი რომ ელით!

თბილისის ქორწილიც მახსოვს. მუხრან მაჭავარიანი თამადობდა. რეზო თაბუკაშვილთან მივიყვანე ვასო მესხი, ჩემი ახალი მოყვარე! — რეზო უნდა გაგაცნო-მეთქი! კარგს იზამო, ეშმაკურად მოწკურა თვალები! დაინახეს ერთმანეთი და აუტყდათ სიცილი! მე რა ვიცოდი, ძველი ძმაკაცები თუ გავაცანი ერთმანეთს! რეზოც მოკვდებოდა ალბათ ახლა, ამას რომ შესწრებოდა ყველაფერს! — სოხუმის დაღუპვის ცნობის მოსმენისას ხომ გაუსკდა გული ლადო სულაბერიძეს — ათას ჭირგამოვლილ კეთილშობილ პოეტსა და ღირსეულ კაცს! კიდევ რამდენს გაუსკდება გული დღევანდელ საქართველოში!

აფხაზის და რუსის არ მეშინიაო, ვასო მესხმა, ქართველის მეშინიაო, სამოქალაქო ომის და ძმათა კვლის პერსპექტივის მეშინიაო!

ახლა იგი ამ შიშსაც გადაურჩა, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ რა გვეშველება, რუსებივით ორი პრეზიდენტი რომ გვყავს, ორი პარლამენტი, ორი ჯარი რომ გვყავს, ორი სინდისი რომ გვაქვს, ორი ჭკუა და ერთი, ერთადერთი ბედი — შავი უფსკრული, საიდანაც შესაძლოა ვეღარასოდეს ამოვიდეთ!

წევს ახლა მოყვარული ცოლქმარი, დაცხრილული ტყვიით, და არავინაა მათი პატრონი!

მე რა შემიძლია აქედან! ჩვენ რა შეგვიძლია აქედან! რით ვუშველით ჩვენს მკვდრებს! რით ვუშველით ჩვენს ცოცხლებს!

ქართველებო! ჭირის დროს მაინც დავრჩეთ კაცებად! მივხედოთ ჩვენს მიცვალებულებს! დავივიწყოთ ჩვენი ტრაგიკული შეცდომები და შევრიგდეთ! — ძვირფასი ადამიანების კუბოებთან ბევრჯერ შერიგებულან წაკიდებული ძმები!

თუ ეს მოხდება, ვასო მესხი გინდ არც მომკვდარიყოს! ქსენო ქაცარავა გინდ არც მომკვდარიყოს! სოხუმის გმირი დამცველები გინდ არც დახოცილიყვნენ! — მათი — აფხაზეთის ერთგულებ შვილთა ერთადერთი საფიქრალი ხომ ეს იყო!

მინაწერი.

დღეს საღამოს გავიგეთ: 19 წლის აფხაზი ბიჭი, რომელსაც ვასო მესხი და ქსენო ქაცარავა უყვარდა, ჩავიდა სოფლიდან სოხუმში მათ გადასარჩენად, და როცა ისინი ულმერთოდ ჩახოცილები ნახა, შეძრწუნებული გაიქცა... მალე ორ ძმაკაცთან ერთად უკანვე დაბრუნდა და დაკრძალა უპატრონო მკვდრები...

ამ საქციელმა, ახალგაზრდა აფხაზის თვალზე გაჩენილმა ამ პატარა ცრემლმა, სირცხვილისა და მონანიების ცრემლმა მე გამიჩინა იმ ცრემლივით პატარა იმედი, რომ თუ ოდესმე, ჩვენი მრავალტანჯული ხალხის სიბრძნის, ერთნებობისა და ვაჟკაცობის წყალობით, აფხაზეთი ისევ ჩვენი იქნება, შესაძლოა, გადარჩეს რუსულ-აფხაზური ფაშიზმის ყველაზე დიდი მსხვერპლი — თვითონ აფხაზი ხალხი...

ტარიელ ჭანტურია.

ნომერში

◎ რა გზას დავადგეთ სოფლად პრივატიზაციისას? 2
◎ ქვეყნის თვითიზოლაცია დაუშვებელია. 3

საუბარი გერმანიის ელჩთან

30 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში გიუნტერ დალჰოფი. საუბარი გაიმართა დახურულ კარს მიღმა.

შეშფოთება გამოთქვა

სტოკჰოლმი, 30 სექტემბერი. (იტარ-საკდეს-საქინფორმი). სოხუმის დაცემა ტრაგიკული მოვლენაა, რომელიც შეშფოთებას იწვევს. ეს კარგი არ იქნება მომავალი საქართველოსათვის და სერიოზულ ლახვარს სცემს საერთაშორისო გაერთიანების ძალისხმევას ბოლო მოუღოს საომარ მოქმედებას და მიაღწიოს მტკიცე მშვიდობასა და მოწესრიგებას, რაც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ აფხაზეთის კონფლიქტში ჩართულ მხარეთა სამშვიდობო დიალოგის მეშვეობით. კანონიერ მისწრაფებათა თავს მოხვევა ძალის მეშვეობით არ შეიძლება. ეს ნათქვამია აქ გავრცელებულ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბჭოს მოქმედი თავმჯდომარის, შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრის მარგარეტა აფ უგლასის განცხადებაში.

თავად სუვერენული საქართველოს, როგორც საერთაშორისო გაერთიანების წევრის, არსებობა სასწორზეა. ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, ნათქვამია განცხადებაში, მთლიანად უჭერს მხარს ედუარდ შევარდნაძის მეცადინეობას თავიდან აიცილოს ქვეყანას დახლეჩა. საქართველოს დეზინტეგრაცია არავის ინტერესებს არ შეესაბამება. დოკუმენტი მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოწოდებას აფხაზთა ლიდერებისადმი გამოიჩინონ თავშეკავება. ისინი მთლიანად აგებენ პასუხს სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ ძალმომრეობის ნებისმიერი აქტებისათვის, აღნიშნულია შვეციის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურის განცხადებაში.

საქართველოს — 50 მილიონი მარკა დამატებით

ბონი, 30 სექტემბერი. (იტარ-საკდეს-საქინფორმი). გერმანიის მთავრობა აპირებს საქართველოს გამოუყოს 50 მილიონი მარკა დამატებითი დახმარება. ეს ბონში განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა. ამ თანხიდან 20 მილიონი მოხმარდება სურსათის მიწოდებას, 30 მილიონი კი კავკასიის რესპუბლიკაში სხვადასხვა პროექტების მხარდაჭერას.

სამინისტროს წარმომადგენლის მონაცემებით, საქართველოში უკვე გაიგზავნა სურსათი. უახლოეს დღეებში თბილისში უნდა ჩამოვიდეს შაქრისა და ფქვილის დიდი პარტიები.

საუბარი ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის მისიის ხელმძღვანელთან საქართველოში

30 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ირინა სარიშვილმა მიიღო ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში ბატონი ალექსანდრე ცვეტკოვი მისივე თხოვნით.

ვიზიტის ძირითადი მიზანი გახლდათ საქართველოში ევროთათბირის მისიის მოქმედი თავმჯდომარის, შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრის ქალბატონ მარგარეტა აუფ უგლასის ჩამოსვლა. მანამდე კი თბილისში ჩამოვა ევროთათბირის მისიის წინასწარი დაგეგმვის ჯგუფი.

ევროთათბირის მისია სამაჩაბლოს პრობლემებზე მუშაობს, მაგრამ საუბრის მთავარი საგანი იყო ამჟამად ყველაზე მტკივნეული აფხაზეთის პრობლემა და რუსეთისა და საქართველოს ახლანდელი ურთიერთობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური იუწყება

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში, 30 სექტემბერს ზუგდიდში ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შეიარაღებულმა მომხრეებმა დააკავეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატრანსპორტო პოლიციის უფროსი, გენერალ-მაიორი გია გულუა. წინასწარი ინფორმაციის თანახმად, რომელიც ჯერჯერობით არ დაუდასტურებია სამინისტროს პრესცენტრს, ზუგდიდის უკანონო შეიარაღებულ ქვეგანაყოფებს დაკავებული ჰყავთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსი გოგი ჩეჩელაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

ჟიული შარტავას დაკრძალვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა საქართველოს პარლამენტის წევრის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ჟიული კალისტრატეს ძე შარტავას** დამკრძალავი კომისია **ოთარ ფაცაციას** თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში არიან **ვახტანგ გოგუაძე** (თავმჯდომარის მოადგილე), **ირაკლი ანდრიაძე, სოსო არეშიძე, კოტე გაბაშვილი, ალბერტ თავხელიძე, ჯაბა იოსელიანი, ალექსანდრე კავსაძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, ლორიკ მარშანია, როინ მეტრეველი, რამაზ სიჭინავა, გურამ ფანჯიკიძე, გურამ ქაშაკაშვილი, გიორგი ყარყარაშვილი, ელდარ შენგელაია, ბეჟან ხურციძე.**

ჟ. კ. შარტავას დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფოს მეთაურის აპარატისა და მინისტრთა კაბინეტისგან

საქართველოს პარლამენტი, სახელმწიფოს მეთაურის აპარატი და მინისტრთა კაბინეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა კასპის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე

ტარიელ შარიფაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის ჭირისუფლებს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა გამოჩენილი მწერლის და საზოგადო მოღვაწის ლადო სულაბერიძის დამკრძალავი კომისია მურმან ლებანიძის (კომისიის თავმჯდომარე), გრიგოლ აბაშიძის, ოთარ ბერძენიშვილის, ჯემალ ზამბახიძის, ელგუჯა მაღრაძის, დავით მჭედლურის, ოთარ ჩხეიძის, ტარიელ ჭანტურიას, რევაზ ჭეიშვილის, ვახტანგ ჭელიძის შემადგენლობით.

ლადო სულაბერიძე დაიკრძალება სახელმწიფოს ხარჯზე.

(დასასრული)

ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით:

ბელა ბელქანია — ლეიტენანტი, მსმენელი;
გელა თუთარაშვილი — ლეიტენანტი, მსმენელი;
ბაჩუკი კოკაია — ლეიტენანტი, მსმენელი;
ანდრია ჭანტურიძე — მსმენელი.

ღირსების მედლით:

მირიან თეთრაძე — მაიორი, მეთოდისტი-მასწავლებელი;
ვახტანგ კვესიტაძე — კაპიტანი, კურსის უფროსი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასლის 1-ლი ხარისხის ორდენით:

ზურაბ იარაჯული — უფროსი ლეიტენანტი, სამხედრო საჰაერო ძალების მოიერიშე საავიაციო პოლკის მფრინავი (სიკვდილის შემდეგ);

იგორ ცირცაძე — პოლკოვნიკი, სამხედრო საჰაერო ძალების და საჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სარდლის პირველი მოადგილე (სიკვდილის შემდეგ).

ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით:

ივანე ოზგაიძე — მაიორი, სპეციალური დანიშნულების გაერთიანებული სამმართველოს ქანსაკუთრებული დანიშნულების სამსახურის საბრძოლო განყოფილების უფროსის მოადგილე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის საფრენოსნო კომპლექსის თანამშრომლების და საჰაერო ხომალდის „ტუ-154“-ის ეკიპაჟის წევრების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში შეტანილი პიროვნული წვლილის, გამოჩენილი ვაჟკაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის საფრენოსნო კომპლექსის თანამშრომლებისა და საჰაერო ხომალდის „ტუ-154“-ის ეკიპაჟი დაჯილდოვდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით:

ბორის ავაკოვი — საჰაერო ხომალდის მეთაური;
ანზორ ბაქურაძე — საჰაერო ხომალდის მეთაური;
ედუარდ ბუდოიანი — საჰაერო ხომალდის ბორტგამყოლი;
ვლადიმერ ბასოიანი — საჰაერო ხომალდის შტურმანი;
კონსტანტინე კოშკინი — საჰაერო ხომალდის მეორე მფრინავი;
ალი მუზაფაროვი — საჰაერო ხომალდის ბორტინჟინერი;
მალხაზ ონოფრიშვილი — საჰაერო ხომალდის შტურმანი;
ზურაბ ფერიშვილი — ფრენის უსაფრთხოებისა და კონტროლის განყოფილების უფროსის მოადგილე;
კახი წილოსანი — საჰაერო ხომალდის ბორტინჟინერი;
ვლადიმერ ხიდეშელი — საჰაერო ხომალდის ბორტგამყოლი;
ნიკოლოზ ბრუში — საჰაერო ხომალდის მეორე მფრინავი.

ღირსების ორდენით:

ლევან გრიგოლაშვილი — საფრენოსნო კომპლექსის უფროსი;
ელგუჯა დვალი — საფრენოსნო კომპლექსის უფროსის მოადგილე;
გოჩა თვარაძე — საავიაციო ტექნიკური ბაზის უფროსი;
ვალერი ქაძანაია — თბილისის აეროპორტის უფროსი;
ვასილ ჯამბაზიშვილი — ავიაკომპანია „ორბის“ გენერალური დირექტორი.

ე. შევარდნაძე.

ფოტო ომიდან

ბრძოლებით გამოაღწიეს

ჯაბა იოსელიანმა და მისმა ერთგულმა მეგობრებმა „მხედრიონის“ რაზმებიდან მტერთან გააფთრებულ ბრძოლაში დააღწიეს თავი ჯოჯოხეთურ ალყას და ბრძოლა-ბრძოლით თავისიანებამდე მიაღწიეს. 30 სექტემბერს ვერტმფრენით ისინი უკვე თბილისში ჩამოფრინდნენ.

ჩვენი დღევანდელი ისტორიის ეს ეპიზოდი აღბეჭდა ფირზე საქინფორმის ფოტოკორესპონდენტმა სერგო ედიშერაშვილმა.

წინაპართა ხმა

კმარა სისხლი...

სამშობლოვ, დღეს შენი ვალია დარაზმვა, მოახდინე ეს და... მომავალი შენია!

გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსა და მომავლის ბედის სხვაზედ მინდობა. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილისა და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გაწევა. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ [illegible] ამ ქვეყნიერობაზედ სიკეთე და ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენი ცხოვრების შარაგზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ...

სხვაზედ მინდობა — ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდეც ამ ქვეყნიერობაში...

ჩვენს გარეშე ჩვენი ხსნა სიზმარია.

ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს, ასე ამოქმედებს. როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე ხელს კი არ აკრებინებს, როგორც იმედდაწყვეტილს, სასოებადაკარგულს. არამედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრავს-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი.

ილია ჭავჭავაძე.

სწორედ ბედ-უკუღმართ ვარსკვლავზეა ქართველი დაბადებული: ერთს ჭირს რომ თავიდგან მოიშორებს, მეორე მოულოდნელად გამოუხტება და ეძგერება შუბით!

ვინ მოსთვლის, რამდენი ჭირი მოსდგომია კარზე საქართველოს? მაგრამ ნუგეშად უთქვამს: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო“, და აგრეა... თითონ დარჩენილა და ჭირი-კი დრო და ჟამს გაუქარვებია!

საქართველო ყოველგვარ განსაცდელსა და გასაჭირს გაუძლებს!

ის ხალხი, რომელიც რუსთაველს წარმოშობს — უკვდავია, გაუმარჯოს მომავალს!

აკაკი წერეთელი.

რაც უნდა დაბეჩავებული იყოს ერი, რაც უნდა გასაწყლებული, თუ საუკეთესო მერმისს მოელის და არ გადაუწყვეტია იმედი და არ ფიქრობს: ეგ არის, ჩემი საქმე მორჩომილია, დაღუპული ვარო, ის ერი არც დაიღუპება, არც მოკვდება. მომაკვდინებელ გარემოებაში და პირობებში რომ იყოს, გარემოებას შესცვლის და გაიმარჯვებს კიდეც.

ვაჟა-ფშაველა.

რაც უნდა დიდს გასაჭირში ჩავარდეს ერი, სასოწარკვეთილებას მაინც არ უნდა მიეცეს იგი. მისი სიცოცხლის ყოფნა-არყოფნა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

ჩვენი მოვალეობაა თვით ერში, მის არსებულ ძალთა განწყობილებაში ვეძიოთ ხსნა და იმედი უკეთესის მომავლისა.

არჩილ ჯორჯაძე.

ეხლა განხეთქილება საბედისწერო იქნება. ეხლა არ უნდა ავტეხოთ შინაური ჩხუბი და დავიდარება. თუ შინ დავიწყეთ ბრძოლა, ყოველი მტერი წაგვლეკავს. ეხლა ყველამ უნდა შეიგნოს, რომ დროებით მაინც გადადებულ უნდა იქნას ყოველი კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, მოვა ამისი დროც. იცოდეთ, რომ ყოველი მტერი საქართველოსი ახლა ცდილობს, გამოიწვიოს ეს შინაური განხეთქილება. ჩვენმა მტრებმა ძალიან კარგად იციან, რომ შინაური ბრძოლა დასცემს საქართველოს და გახდის მას ადვილად გადასაყლაპავ ლუკმად.

გიორგი გვაზავა.

თუ ჩვენ ერთიმეორეს დავუწყეთ ხოცვა, რაღათ გვინდა ან ეროვნული თავისუფლება და ან რომელიმე სოციალური იდეალის განხორციელება: ერთი-მეორის შინაგან ბრძოლაში გაქლეტილ ერს აღარც პირველი ეჭირვება და აღარც მეორე.

გრიგოლ რობაქიძე.

მოვალეობა მომავალ თაობათა წინაშე მოითხოვს ჩვენგან, რომ გაორებული საქართველო უნდა გაერთიანდეს. ისე ერის არსებობის [illegible] და მომავალი იქნების, თუ ყოველი ჩვენგანი მარჯვლად არ გამოადგა იმ ჯაჭვს, რომლის თითო-თითო გაწყვეტილ რგოლს-და წარმოადგენს დღევანდელი ქართველობა.

კონსტანტინე გამსახურდია.

ყოველი შუღლი და უთანხმოება მოქალაქეთა შორის, მოქალაქეთა გაყოფა და დანაწილება მოპირდაპირე ჯგუფებად ჩაგვეთვლება სამშობლოს ხელახლა წაქცევად, შიგნიდან ციხის გატეხვად, მტერთა გასახარად. იყვარებდეთ ურთიერთს, მოიშორეთ და დაივიწყეთ ყველაფერი, რაც ერთი მეორეს [illegible]. ერთი მეორისაგან გთიშავთ, გაბრკოლებთ მამულის საკეთილდღეოდ შეთანხმებულ მუშაობაში. მოსიყვარულე შვილობით შეუდექით მხრებში სამშობლოს და დაარწმუნეთ მტრები და მოყვარენი, რომ საქვეყნო საქმეების გარიგებაში დიდსა და პატარას აქვთ ერთი ენა, ერთი ნებისყოფა და ერთი მსოფლმხედველობა...

თქვენი შეთანხმებული მოქალაქეობით ჰსცნან ყოველთა, რომ ქართველებს, გვიცოცხლნია და ვიცოცხლებთ ღვთის სიყვარულით, რომ ჩვენ ვსუნთქავთ სამშობლოსა და მოყვასთა ბედნიერება-კეთილდღეობისათვის.

კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე.

ჩვენისთანა პატარა ერისთვის კიდევ უფრო საჭიროა შეკავშირება ყოველგვარ საქმეში, ვიდრე მრავალრიცხოვან ერისათვის. ჩვენი დრო პატარა ერების ყოფნა-არყოფნის დრო არის, ამიტომ ჩვენ გვმართებს მჭიდროდ შეკავშირება და სიფხიზლე, რომ საქვეყნო ქარ-ტეხილმა არ აღგვგავოს ძირიანად. დაქნინება, დაქუცმაცება და ერთმანეთის გაუტანლობა ჩვენი ისტორიული სენია. საქართველო იმდენად მტერს არ დაუქცევია, რამდენადაც შინაურმა დაქსაქსულობამ დააქცია. ეს ისტორიული სენი ეხლაც თან გვახლავს, მაგრამ სხვა რიგად იჩენს თავს. ეს არის ჩვენი ერთმანეთის გაუტანლობა, სხვადასხვა პარტიების და ჯგუფების სასტიკი ბრძოლა, გაუთავებელი ლანძღვა-გინება პოლემიკაში, ერთი მეორის პიროვნების დამცირება. თუ ჩვენ მთავარ საკითხებში ვერ შევთანხმდით, ვერც რამე თვალსაჩინოს გავაკეთებთ.

ექვთიმე თაყაიშვილი.

ყოველი კერძო, [illegible] გამოსვლები დღეიდან უნდა მოისპოს სამუდამოდ. აღარ უნდა დაშთეს საზოგადოდ თვით ისეთი სახელებიც კი, ვით ინგილო, თუში, სვანი, მეგრელი და სხვ...

განცალკევება მშლელია, მძაბუნებელი. ერთობა კი სასწაულების მომხდენი... კერძოობა სულ მივივიწყოთ, თუ გულით გსურთ დასტკბეთ [illegible] თავისუფლებით!...

ძმანო! გადაყარეთ ჯოჯოხეთური სასროლები და მანქანები და აირჩიეთ მარტო გონების იარაღი და მით იბრძოლეთ. მხოლოდ ჭკუა-გონების უნარით დაადგინეთ ახალი წესი ცხოვრებისა და მარტო მისი ძალით ჩაუნერგეთ ხელოსნობას ზიარება ძმობის, სიყვარულისა, ურთიერთ შეწყნარებისა, კაცურ კაცობისა. კმარა სისხლი, უამრავ საუკუნეთა განმავლობაში უხვად იღვრებოდა იგი, მაგრამ ამაოდ, სულ ამაოდ... ნუ სროლა, არამედ სროლა მშვიდობიანი, უკეთეს მერმისისკენ ფართო გზის გასაკაფავად.

მოსე ჯანაშვილი.

შეერთდეს ყველა... ყველა ბინადარი ქართველთ მოდგმისა.

ამჟამად დავივიწყოთ ყოველი პარტიული, ვინაიდან სამშობლო ყველა, პარტიაზე მაღლა სდგას, პარტიულ მოწესრიგებას შემდეგშიაც მოვასწრებთ.

სამშობლოვ... დღეს შენი ვალია დარაზმვა... მოახდინე ეს და.... მომავალი შენია!

შალვა დადიანი.

თვალსაზრისი

რომელი მეთოდი გამოვიყენოთ?

პრივატიზაციის გზები და ვარიანტები

თანამედროვე ეტაპზე თავისუფალი საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი პირობაა საკუთრების თანასწორუფლებიანი მრავალგვარი ფორმის არსებობა. ეს პროცესი ორგანულადაა დაკავშირებული ეკონომიკის ლიბერალიზაციასთან. პრივატიზაცია, რომელიც ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია, არსებითად გულისხმობს საკუთრების კონკრეტული მფლობელის განსაზღვრას.

რა გზით უნდა განხორციელდეს პრივატიზაცია სოფლის მეურნეობაში? სოფლად ხომ ტრადიციულად ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი საკუთრების ორი ფორმა: სახელმწიფო და კოოპერაციული (კოლმეურნეობები). თანამედროვე პირობებში საკოლმეურნეო საკუთრება ბევრი არაფრით განსხვავდება სახელმწიფო საკუთრებისაგან, კოლმეურნეობიდან გამოსვლისას მის წევრებს არ ეძლევათ გარანტია, საკუთრების იმ ნაწილის მღებაზე, რაც მათ კოლმეურნეობაში ეკუთვნით. პრივატიზაციის პროცესში სასოფლო-სამეურნეო საკუთრებას უჩნდება კონკრეტული პატრონი. მისი მეპატრონეები უნდა გახდნენ უშუალოდ საქონელმწარმოებლები, შრომითი კოლექტივები, რიგითი კოლმეურნეები და სახელმწიფო მეურნეობათა მუშები. ამიტომ, პრივატიზაციის განხორციელების გზები, ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, ხასიათდება რიგი ანგარიშგასაწევი თავისებურებებით, რაც არსებითად განსაზღვრავს კიდეც პრივატიზაციის ძირითად მიმართულებებს.

ამიტომ, პრივატიზაცია მრავალვარიანტიანია. მაგალითად, რუსეთის მინისტრთა საბჭოს შესაბამის სამსახურებს ამჟამად აქვთ პრივატიზაციის განხორციელების ჩვიდმეტი ვარიანტი, რომლებიც მოქმედებენ. ჩვენთან ეს ვარიანტები შეიძლება ხუთამდე დავიყვანოთ.

სოფლად პრივატიზაციის განხორციელების ერთ-ერთი გზაა ყველა მუშაკისთვის წარმოების ძირითად საშუალებათა უსასყიდლოდ გადაცემა. მაგრამ ამ შემთხვევაში, აუცილებელია გავითვალისწინოთ კონკრეტული სიტუაციები.

თუ საკუთრებას მივცემთ მათ, ვინც მისით სარგებლობს წარმოების პროცესში, მაშინ გამოუსწორებელი შედეგებია მოსალოდნელი: მუშაკთა ერთ ნაწილთან შეიძლება თავი მოიყაროს წარმოების ძვირად ღირებულმა საშუალებებმა (რომელთა ფორმირებაში ისინი ყოველთვის როდი მონაწილეობდნენ), ხოლო სხვებთან — შედარებით იაფმა, თუმცა, ისინი ნაკლებად არ მუშაობდნენ. ჩნდება საშიშროება, რომ ყველა მუშაკი გონივრულად ვერ გამოიყენებს „ნაჩუქარს“ და მაინც, რამდენადაც კოლმეურნეობებში საკუთრება ყველა კოლმეურნეს ეკუთვნის, სახსრების უსასყიდლოდ გადაცემაზე დაფუძნებული პრივატიზაციის ვარიანტზე უარი არ უნდა ვთქვათ.

პრივატიზაციის ეს ვარიანტი — მოქალაქეებისთვის საკუთრების უსასყიდლოდ გადაცემა — სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მხარდაჭერით სარგებლობს. პირველ რიგში, მიმზიდველია, ამ ვარიანტში ჩადებული სოციალური სამართლიანობის პრინციპი: საბაზრო ურთიერთობათა დაწყებით ყველა თანაბარ სასტარტო მდგომარეობაში აღმოჩნდება. საზოგადოების ყველა წევრისათვის ერთნაირი სასტარტო მდგომარეობის შექმნა კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საპრივატიზაციო ჩეკების გაცემით.

აღნიშნული ვარიანტის ნაკლი სპეციალისტებისთვის ნათელია. ესაა არაეფექტიანობა (საკუთრება — სოციალური ფუნქციაა და ყველას არ შეუძლია მისი შესრულება), ერთმანეთს ვერ შეუდარებ საკუთრებაში გადაცემული ქონების სხვადასხვა სახეებს, არათანაბარმნიშვნელოვანია ადამიანთა წილი საერთო-სახალხო საკუთრებაში.

პრივატიზაციის მეორე ვარიანტია თითოეული კოლმეურნის წილობრივი პაის გამოანგარიშება საკუთრების ფლობის უფლებებზე. ე. ი. წარმოების ძირითად საშუალებათა დაყოფა ღირებულებით ფორმაში მომუშავე და პენსიაზე გასულ წევრთა წვლილის შესაბამისად. მაგალითად, თანამეგობრობის ქვეყნების რიგ კოლმეურნეობებში საერთო კრებამ შექმნა წევრთა წარმოების ძირითად საშუალებებზე საპაიო ფონდი. დამტკიცდა ახალი წესდება, რომელშიც განსაზღვრულია კოლმეურნეთა საპაიო ფონდის შექმნისა და გამოყენების წესი. კოლმეურნეს უფლება ეძლევა, პენსიაზე გასვლის ან კოლმეურნეობიდან წასვლის შემთხვევაში, ხელზე მიიღოს თავისი პირადი პაის მთელი დაგროვილი თანხა.

ეკონომისტთა ერთი ნაწილის აზრით, ზემოაღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს, ერთი მხრივ, კოლმეურნეობების ნგრევა და სახსრების „განიავება“, მეორე მხრივ, ასეთ პირობებში პაის მფლობელი არ არის დაინტერესებული წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით, რადგან მატერიალურ საშუალებებზე ფასების გამალებული ზრდის პირობებში დივიდენდების მოცულობა ხშირად ძალზე დაბალია.

სპეციალისტების გარკვეული ნაწილი გვთავაზობს კოლმეურნეებს მივცეთ უფლება, პაი მიჰყიდონ მეურნეობის სხვა მუშაკებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ამოიღონ ის ფულადი ფორმით მიმოქცევიდან. ასეთ შემთხვევაში დივიდენდების მოცულობამ კოლმეურნეები უნდა დააინტერესოს.

სახელმწიფო მეურნეობებისთვის, ჩვენი აზრით, ამგვარი მიდგომა სრულიად მისაღებია, რამდენადაც სახელმწიფო მეურნეობებში (ყოფილი საბჭოთა მეურნეობები) წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრებაა, ჩვენი აზრით, მათი უბრალო გაყოფა და ამით მეურნეობის მუშაკთა „დაჯილდოება“ სწორი არ იქნება, საკუთრება მხოლოდ მეურნეობების მუშაკებს არ ეკუთვნით, იგი ეკუთვნის სახელმწიფოსაც. ამის მიუხედავად, არ უნდა გამოვრიცხოთ სახელმწიფო მეურნეობების საკუთრებს ნაწილის მათ მუშაკებზე უფასოდ გადაცემა.

სოფლის მეურნეობაში პრივატიზაციის განხორციელების მესამე ხერხად უნდა ჩაითვალოს, საკუთრების გადაცემა იმ საწარმოს შრომითი კოლექტივისთვის, რომლის სარგებლობაშიც ახლა ის არის.

ამგვარი პრივატიზაციის მომხრეა იმ საწარმოთა ადმინისტრაცია, სადაც კოლექტივი საკმაოდ მართვადია და დარწმუნებული არიან, რომ მას შემდეგ, რაც ფორმალურად არჩეულნი გახდებიან, თავიანთ პოზიციას შეინარჩუნებენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლექტივების მართვადობის იმედი აქვთ აგრეთვე, იმ პროკომუნისტურ კონსერვატიულ ძალებსაც, რომლებიც მხარს უჭერენ პრივატიზაციის ამ გზას.

პრივატიზაციის მეოთხე ვარიანტს — საკუთრების გაყიდვას — აშკარად უჭერს მხარს მოქალაქეთა ის ნაწილი, რომელიც საბაზრო ეკონომიკის მომხრეა.

საკუთრების გაყიდვისას (მისი შეძენის ყველა მსურველზე) ყველა კოლმეურნეობა ან სახელმწიფო მეურნეობა არ შეწყვეტს არსებობას. ამას უნდა მივმართოთ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, კერძოდ, ზოგიერთი წამგებიანი უპერსპექტივო მეურნეობის დაშლისას, როდესაც მყიდველის როლში შეიძლება გამოვიდნენ როგორც კერძო პირები, ასევე ორგანიზაციები და საწარმოები. ამ შემთხვევაშიც იქმნება სადავო სიტუაციები, რადგან იმას, ვინც პატიოსნად მუშაობს, ყოველთვის არ ეყოფა ფული არა მარტო წარმოების საშუალებების შესაძენად, არამედ საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც. წარმოების საშუალებების ყიდვის მსურველებს შეიძლება დავეხმაროთ კრედიტებით. მაგრამ საქმე ისაა, რომ კრედიტი დროებით თავისუფალი ფულია და ყველას როდი შეხვდება.

ამასთან დაკავშირებით, ჩნდება იმის საშიშროებაც, რომ საკუთრების გაყიდვით ამონაგები ფული წავა არასაჭირო ობიექტების დასაფინანსებლად და ეკონომიკაში ყოველგვარი ჩავარდნების დასაფარავად. ამის მიუხედავად, სახელმწიფო საკუთრების გაყიდვის შესაძლებლობის სრულად გამორიცხვა არ შეიძლება. პირიქით, საკანონმდებლო წესით უნდა გადავწყვიტოთ მსგავსი გარიგებები, გამოვიყენოთ სხვადასხვა აუქციონები, ბაზრები, კონკურსები.

პრივატიზაციის მეხუთე ხერხად უნდა ჩაითვალოს იჯარა შემდგომი გამოსყიდვით, წარმოების საშუალებების მოიჯარეთა სურვილის მიხედვით. სამართლებრივი ნორმების თვალსაზრისით, ეს გზა უფრო საიმედოა, მაგრამ გამიჯარებლის გაურკვევლობას მაინც იწვევს, რადგან, ხელშეკრულებო შეთანხმების (საიჯარო გადასახადის მოცულობა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა) შესრულების მტკიცე გარანტია არ არის. ისმება კითხვა: რის საფუძველზე განისაზღვრება იჯარის ხანგრძლივი ვადით გამოსყიდვის უფლების მიხედვით სამეურნეო საწარმოთა ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად შემოსულობათა თანხა? მით უფრო, რომ დღეისათვის არავითარი ამდაგვარი მონაცემები არ არსებობს. საქმე ეხება საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების საბალანსო ღირებულების აფასებას (ინდექსაციას) კოეფიციენტებით, რომლებიც ითვალისწინებს საბაზრო კონიუნქტურას.

უდიდესია იჯარის, როგორც საკუთრების შუალედური ფორმის მნიშვნელობა. სწორედ მისით ყალიბდება ნამდვილი მეპატრონე, მომავალი ფერმერი, მაგრამ იჯარის დანერგვისას და გავრცელებისას აუცილებლად უნდა დავიცვათ გარკვეული პირობები. დაიჯარებული წარმოების საშუალებების ხმარებისათვის შემუშავებულ და გათვალისწინებული უნდა იქნას ოპტიმალური საიჯარო გადასახადი, რაც გამორიცხავს მოიჯარეთა დაუსაბუთებელ პრივილეგიებს ფერმერებთან და კოოპერატივებთან შედარებით და შეუქმნის მოიჯარეებს საკუთრების გადაცემის გარანტიას.

მეორე მხრივ, დაიჯარებულ წარმოების საშუალებათა გამოსყიდვის უფლებაზე გარანტია უნდა მიეცეს ყველა მოიჯარეს, შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით. სხვათა შორის, იჯარა ყველაზე ეფექტიანად მუშაობს სწორედ წამგებიან და დაბალრენტაბელურ მეურნეობებში.

რამდენიმე სიტყვა პრივატიზაციის ისეთ ხერხზე, როგორიცაა აქციონირება. ეს ხორციელდება იმ მიზნით, რომ გამოვიწვიოთ შრომითი კოლექტივების აქტივიზაცია და კონტროლით დაინტერესება. სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს უნდა მივცეთ აქციების გაყიდვის უფლება. აქციების რეალიზაციით შემოსული ფულადი სახსრები გამოიყენება თანამედროვე მოწყობილობების შესაძენად, ინვესტიციებისათვის — მნიშვნელოვანი ობიექტების ასაშენებლად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგების განსავითარებლად.

სააქციო საზოგადოებაში მონაწილეობაზე საჭიროა კოლექტივის წევრთა უმრავლესობის თანხმობა. ეს გარკვეულად შეზღუდავს საკუთრების ფლობისგან ჩრდილოვანი ეკონომიკისა და იატაკქვეშა ბიზნესის წარმომადგენლებს. ამასთან, აქციების შეძენის უფლება უნდა მივცეთ სამრეწველო საწარმოთა ყველა მუშაკს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩაერთვებიან.

პრივატიზაციის პროცესში მსხვილი და საშუალო წარმოებისაკენ პირველი ნაბიჯი უნდა იყოს მათი კომერციონალიზაცია. საპრივატიზაციო ობიექტს თავდაპირველად თან უნდა სდევდეს მისი ეკონომიკური დასაბუთება, ქონების შეფასება, განვითარების პერსპექტივა, გაჯანსაღების გეგმის შემუშავება და რეკონსტრუქცია საბაზრო პირობებში მუშაობის ადაპტაციისათვის (რაც, სამწუხაროდ, ჩვენში უგულებელყოფილია). ამის შემდეგ, შეიძლება შევუდგეთ მათ პრივატიზაციას.

როგორც წესი, პრივატიზაცია უნდა იყოს ვადიანი. თუ პრივატიზებული საწარმო საქმეს თავს ვერ გაართმევს, სახელმწიფომ იგი კვლავ უნდა დაიბრუნოს. მაგალითად, თბილისში ტაქსების პრივატიზაციამ ნაყოფი ვერ გამოიღო. ქალაქი უტაქსოდ დარჩა. ტაქსები რომ საპრივატიზაციო გამოსაცდელი ვადით გაყიდულიყო, სახელმწიფო მათ უკან დაიბრუნებდა და ქალაქს ამდენი პრობლემა არ დაუგროვდებოდა.

საკითხის შესწავლით იმ დასკვნამდე მივედით, რომ პრივატიზაციის მოუფიქრებელი, ეკონომიკურად გაუაზრებელი (შემთხვევითი ხალხისათვის სახელმწიფო ქონების ხელში ჩავარდნა) „ელვისებური“ ტემპით ჩატარება (მიწის პრივატიზაციის მსგავსად) გარკვეული წრეებისათვის არის ნაბიჯი ხელისუფლებისაკენ. მათ იციან, რომ დაიწყება ქაოსი, კვების პროდუქტები, სამრეწველო პროდუქციის ნაწარმი, მომსახურება სანახევროდ მაინც შემცირდება. მაშინ კი ადვილად შეიძლება ნებისმიერი მთავრობის დისკრედიტაცია და „სანუკვარი“ სავარძლის მოპოვება. უკვე ნათლად ჩანს მთელი რიგი სიძნელეები, რომლებიც პრივატიზაციის გზაზე გვხვდება. ამიტომ, ზოგიერთი მათგანის დაძლევაზე ახლავე უნდა ვიფიქროთ:

ერთი მათგანია პრივატიზაციის შეცვლა ფსევდოპრივატიზაციით. ასეთი ფსევდოპრივატიზაცია უკვე გაიშალა — ეს არის სამინისტროების, კომიტეტებისა და გაერთიანებების გარდაქმნა კონცერნებად და ასოციაციებად, საწარმოთა ისეთი აქციონირება, როცა სახელმწიფო ორგანოებს რჩებათ საკონტროლო პაკეტი, ხდება სახელმწიფო სახსრების გადაქაჩვა ერთობლივ საწარმოებში და კოოპერატივებში. მას წინ რომ აღვუდგეთ, საჭიროა პრივატიზაცია მჭიდროდ დაუკავშირდეს ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას.

მეორე საფრთხე, რომელიც უთუოდ გამოიწვევს პირველს, ეს არის პრივატიზაციის კამპანიად გადაქცევა. ჩვენი საზოგადოება მიჩვეია ასეთ კამპანიებს, პრობლემების უცაბედ „გადაწყვეტას“. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საკუთრება მხოლოდ ერთხელ გაიცემა და შეცდომის გამოსწორება ნიშნავს, რომ 1917 წელი გავიმეოროთ (მისგან გამომდინარე, ყველა შედეგით).

იმასაც უნდა გავუწიოთ ანგარიში, რომ პრივატიზაციის ტემპი უფრო მაღალი არ იყოს, ვიდრე ეკონომიკის იმ საქმიან სუბიექტთა რაოდენობის ზრდის ტემპია, რომელთაც თავიანთი ხასიათით მესაკუთრეები შეუძლიათ გახდნენ.

დიდი საფრთხე იმალება აგრეთვე, უწყებათა მონოპოლიის ადგილობრივი ხელისუფლების მონოპოლიით შეცვლაში.

პრივატიზაციის პროცესი აუცილებლად აქტუალურს გახდის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკუთრების საკითხს.

სერგო რუხაძე,
საქართველოს პარლამენტის წევრი.

თენგიზ ჭავთარაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს პარლამენტის ექსპერტ-კონსულტანტი.

თანადგომა

უცნობი კეთილი ადამიანები

იმის წარმოდგენა, რომ რეალობა არ არის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, მარადიული და ურღვევი, რომ ის განუწყვეტლივ იცვლება, იმგვარ მოვლენებს როდი ეკუთვნის, ადამიანის გონებაში იოლად რომ იკვლევს გზას. დღესაც არა მაქვს ჩემი მდგომარეობა ბოლომდე გაცნობიერებული, მეტყვის შემდეგ მანანა კირთაძე-კილაბერია, ახალგაზრდა სოხუმელი ინჟინერი, სამი შვილის დედა, 14 წელიწადი რომ ელოდა ნაბოლარა ვაჟიშვილის დაბადებას და ბედმა ასეთ უჩვეულო გარემოში აუხდინა ნატვრა.

ომი ანგრევს, მაგრამ აშენებს კიდეც ადამიანთა შორის პრაქტიკული და ინტელექტუალური ურთიერთობის ხიდს. ამ ხიდს ერთ ბოლოში მყოფი, სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ფსიქოლოგიური და პრაქტიკული მდგომარეობა აგებს. ამას პირველად მაშინ მიხვდა, როცა სოხუმის აეროპორტში, მილიონ ხალხში, ახალგაზრდა აფხაზმა ქალმა (ქართველის მეუღლემ) თავისი პატარა გოგო-ბიჭები ფეხზე წამოყარა და მას, ფეხმძიმეს, ერთგვარი მოწიწებით დაუთმო ადგილი.

პირველად მაშინ ატირდა მანანა. ნათელი დღე იდგა და შემოდგომის ფოთლები ყვითლად ღვიოდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ იქვე, ორიოდ ნაბიჯზე, ქართველი და აფხაზი კლავდა ერთმანეთს. თვითონ კი, უმწეო ქალები, ბავშვებითურთ, დაბომბილი ქალაქიდან თავშესაფრის საძებრად სხვადასხვა მხარეს გარბოდნენ.

ადამიანის ცხოვრებაში, გარკვეული აზრით, შემოდის ის მოვლენები, რომლებიც თავის ბეჭედს ასვამს მის ხასიათს, მის ფსიქიკურსა და ფიზიკურ მდგომარეობას. ეს მოვლენები თავის ანაბეჭდს ტოვებს (ძლიერ მკრთალიდან დამანგრეველამდე) ემოციების, წარმოდგენების, შთაბეჭდილებებისა და ფიქრების სახით. საჭიროა ხშირად დაშორდე შენს განცდებს და ხშირად წარმოიდგინო, რომ იმას, რასაც შენ ამბობ, როგორც შენ ფიქრობ და მეტყველებ, მეტყველებდეს და ფიქრობდეს სხვა ადამიანი ქუჩაში თუ სახლში; მაშინ ყველაფერი ნათელი იქნება, — ამასაც მანანა მეტყვის, მაგრამ ეს მერე, როცა ყველაფერი მოგვარდება. მაშინ კი სასოწარკვეთილი, თბილისში დილიდან საღამომდე ბინის, უფრო სწორად თავშესაფრის ძებნით დაქანცული, კინოთეატრს რომ ჩაუვლიდა და კინოკომედიის ბილეთებზე მდგარ გრძელ რიგს დაინახავდა, გაოცებული ფიქრობდა, ნუთუ ამათ არ იციან, რა ხდება ჩვენს თავს, რა ეკითხებათ.

ბავშვიან ქალს პირველად ყურადღება მანქანის მძღოლმა — ხანდაზმულმა თბილისელმა კაცმა მიაქცია, ლტოლვილები ჩანხართ და რით გემსახუროთ. მთელი დღე მოიცალა ვახტანგ კილაძემ მათთვის. დღის ბოლოს, როგორც იქნა, დააბინავა. კაცურად მოიხადა უბრალო თბილისელმა იმ დღის თავისი ადამიანური ვალი.

თითქოს ამ პირველი ნაბიჯის გადადგმას ელოდნენ, უცებ ყველაფერი შეიცვალა. და წამოვიდა ყურადღების ზღვა ყოველი მხრიდან, თითოეული ადამიანისგან. მანანა გრძელ სიას მიწვდის, სადაც ჩამოწერილი აქვს ყველას სახელი და გვარი, ვინც დაეხმარა. ამ სიაში არიან: საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის სამეურნეო სამსახურის უფროსის მოადგილე ბ. პაპიძე, სასტუმრო „აჭარის“ დირექტორი მ. ლოლაძე, მისი მოადგილე მ. პაპიძე, მთავარი ბუღალტერი ლია, დამლაგებლები ანა, [illegible], ლილი, მარგო, მერი, მზარეულები პაატა, გივი, სასტუმროს თანამშრომელი ლალი, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროდან ლ. სიხარულიძე, ა. ჩიჩინაძე, 61-ე საშუალო სკოლისა და მუსიკალური სკოლის (აქ სწავლობენ მანანას გოგონები მარინა და ეკა) პედაგოგიური კოლექტივები, განსაკუთრებით უხდის მადლობას სამედიცინო პერსონალს — ყველას, ვინც რაიმე წვლილი გაიღო, რომ პატარა გიორგი ჯანმრთელი მოვლენოდა ქვეყანას: ისინი გახლავთ: ფსიქოთერაპევტი გ. მაზმიშვილი, მე-14 სამშობიაროს ექიმი დ. ხირსელი, გინეკოლოგი ქ. კვაჭაძე. ჩიჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი კოლექტივი, სხვები და სხვები, უცნობი, კეთილი ადამიანები, სხვისი გასაჭირი გულთან ახლოს რომ მიიტანეს.

ფეხმძიმე ქალი, რომ დილიდან საღამომდე თავშესაფარს ეძებდა, სად იყო ამ დროს ბავშვის მამაო, იკითხავს მკითხველი.

მანანას მეუღლე, სოხუმის აეროპორტის თანამშრომელი [illegible] (ოთარ) კილაბერია იმ დროს სოხუმში იყო, რა იქნა. ქალაქს ყოველ წუთს ელოდა განსაცდელი!

— ფეხსაცმელში რომ კალაპოტს დებენ გასაფართოებლად, აი, ასე ჩამიდგა ამ ხალხმა რაღაც გულში, — მეუბნება მანანა. — ჰოდა, გულიც ფართოვდება, ფართოვდება და მეტ და მეტ სიყვარულს იტევს. რას ვიფიქრებდი, რომ ამოდენა გრძნობის მარაგი მექნებოდა.

სოხუმელ ბებიას და ბაბუას ჯერაც არ უნახავთ ნანატრი შვილიშვილი, როდის ნახავენ ვითომ? ჯერჯერობით კი მათი შვილიშვილისთვის სასტუმრო „აჭარაა“ პირველი სახლი და იზრდება გიორგი კილაბერია — პატარა სოხუმელი ბიჭი, კეთილი ადამიანების გარემოცვაში, როგორც სიმბოლო ომთან შეჭიდებული გამარჯვებული სიცოცხლის უძლეველობისა.

მზია გელენავა.

დამკვირვებლის სტატუსით

მკითხველებს ამთავითვე მინდა გავაფრთხილო: საუბარი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრთან მიხეილ ჯიბუტთან საკმაოდ სპეციფიკურია, შეიძლება ითქვას, მძიმეცაა წასაკითხად და იმათთვისაა განკუთვნილი, ვისაც სერიოზულად აინტერესებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა. მაგრამ ის, ვინც დღესაც დაჯერებულია, რომ საქართველო თავისი ჩაითა და ბორჯომის წყლით იოლად გაიკვლევს გზას საბაზრო ეკონომიკისაკენ, ის დროს ტყუილად ნუ დაკარგავს: ასეთ „მატერიებზე" აქ ლაპარაკი არ იქნება.

ეს საუბარი 28 სექტემბერსაა ჩაწერილი.

— მოსკოვის შეხვედრები დამთავრდა. რა რეალური შედეგებით ვბრუნდებით, რა პერსპექტივა ისახება?

— ჩვენი დელეგაციის ამ შეხვედრებში მონაწილეობის უმთავრესი მიზანი იყო ის, რომ გავრკვეულიყავით, რა ხდება იმ გარემოში, რომელშიც, გინდა თუ არ გინდა, ცხოვრობ.

მდგომარეობა კი მართლაც საინტერესოდ ვითარდება. თუ ადრე ამ გეოპოლიტიკურ გარემოში რუსეთი მთავარ აქცენტს ე. წ. „ესენგე"-ზე აკეთებდა, შემდეგ — სამხედრო ზონაზე, ახლა ეკონომიკურ კავშირზე გადავიდა.

რითაა ეს საინტერესო? გეტყვით. ყოფილ სსრ კავშირის ყველა ქვეყანას, ბალტიისპირეთის, ყოფილი „სოციალისტური ბანაკის" ქვეყნებს, ყველას აქვს ეკონომიკური ინტერესები ერთმანეთის მიმართ. კოოპერაციული, ტექნოლოგიური კავშირების მოშლამ ყველასთვის უარყოფითი შედეგები გამოიღო. აქ ისაა მხედველობაში მისაღები, რომ კოოპერაციული კავშირები, როგორც სისტემური, ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე ცალკე აღებული ქვეყანა. ამიტომ ყოველთვის რჩება ინტერესების ის მინიმუმი, რომელიც საერთოა და უდავო. ეს კი იწვევს ინტეგრაციისაკენ სწრაფვას, ან, უფრო ზუსტად, ინტეგრაციისაკენ სწრაფვას იმ დონემდე, რომ აღდგეს დარღვეული კავშირები. ეს პრაგმატული, ეკონომიკური თვალსაზრისია.

როდესაც ეკონომიკურ კავშირებზე ვლაპარაკობთ, უნდა განვმარტოთ, რომ ისინი, ეს კავშირები გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე ის, რისთვისაც ზემოთ დასახელებული ქვეყნები დღეს არიან მზად (არის წინმსწრები მომენტები), მაგრამ მაინც ცდილობენ, რომ შეიკრას ეს სისტემა.

თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების ეკონომიკურ კავშირში ბევრი რამაა ისეთი, რაც მისდამი უნდობლობას იწვევს (თუნდაც, უახლოეს წარსულში ამ ურთიერთობებში ჩადებული იმპერატივი ცენტრიდან). ასეთი დამოკიდებულება კი ამ კავშირს მაინც ხვალინდელ დღედ ხდის.

მაგრამ საქართველოს ჰქონდა და, ალბათ, მუდმივად ექნება ეკონომიკური ინტერესი ქვეყნებთან, რომლებიც ამ კავშირში შედიან. ამიტომ მონაწილეობა უნდა მიგვეღო მოსკოვის შეხვედრებში. ეს ერთი. და, მეორე, — პრინციპულად იძულებული ვიყავით.

თუ, ვთქვათ, უკრაინისათვის ესაა ეკონომიკური იძულება, საქართველოსათვის იგივე ქმედება პოლიტიკურ, სამხედრო და სხვა იძულებით ფორმებს იძენს.

რუსეთის დაწოლა ეკონომიკურ კავშირზე ძალიან ძლიერია. ასეთ პრესს ამ რაუნდში მხოლოდ სამმა ქვეყანამ გაუძლო — უკრაინამ, რომელიც, ალბათ, რუსეთის მთავარი ალტერნატივაა; თურქმენეთმა, რომელსაც იმ მდგომარეობის გამო, რომელშიც აღმოჩნდა (იმაში, რაშიც ადრე სამ რუსულ მანეთს იღებდა, ახლა 80 ამერიკულ დოლარს უხდიან), აქვს საშუალება თავისი პოზიცია და პოზაც გამოხატოს და მესამე — საქართველო, რომელსაც პირველი ორის იდენტური პოზიცია ჰქონდა. განცხადებული იყო, რომ მზადა ვართ გავხდეთ ასოცირებული წევრი, ამ სტატუსით შევუერთდეთ ეკონომიკურ კავშირს, რომელიც ამ ქვეყნებს შორის ყალიბდება, სხვათა შორის, ისევე, როგორც სხვა ქვეყნების ეკონომიკურ კავშირს, თუ ეს ჩვენთვის სასარგებლო იქნება.

იმ მოვლენების გამო, რომლებიც ჩვენთან მიმდინარეობს, საქართველოს არ შეეძლო ცალსახად გამოეთქვა სურვილი ამ ეკონომიკურ კავშირში შესვლის შესახებ. ლაპარაკი იყო ასოცირებული წევრობის პერსპექტივაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმ მუხლების გამოტოვებით, რომლებშიც არის რაღაც ნიუანსი პოლიტიკური დათმობისა, ან ორაზროვანია, ან სუვერენიტეტის მოჭარბებული ნაწილის დათმობას გულისხმობს და ამიტომ ჩვენთვის მიუღებელია, შეგვეძლო ასოცირებულ წევრობაზე გველაპარაკა.

კულუარები

ისიც უნდა ვთქვა, რომ საერთოდ, ნებისმიერი კავშირი გულისხმობს მისი წევრების მიერ სუვერენიტეტის ნაწილობრივ დათმობას. მაგრამ მთავარია ის, თუ რას თმობ და რა დონით. მნიშვნელობა არა აქვს რუსეთთან მიმართებაში იქნება ეს რეალიზებული, დასავლეთთან, თუ ნებისმიერ სისტემაში. ევროპა რომ ევროპაა, იქაც დათმეს არა მარტო ეკონომიკური და პოლიტიკური, არამედ ეროვნული ინტერესებიც.

— საერთოდ, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ კონკრეტულად საქართველოსთან დაკავშირებით რა პოლიტიკურ დათმობაზე იყო საუბარი?

— თქვენ ალბათ თანამეგობრობაში („ესენგეში") შესვლის მოთხოვნას გულისხმობთ. ის ცალკე განსახილველი საკითხია. ის თათბირი, რომელშიც მე ვმონაწილეობდი როგორც დელეგაციის წევრი, რეგლამენტის მიხედვით ტარდებოდა. განიხილებოდა ეკონომიკური კავშირის საკითხები და საქართველოს დელეგაციას სურვილიც რომ გამოეთქვა „ესენგეში" შესვლის თაობაზე, ეს აღიქმებოდა როგორც გაუგებრობა. ამგვარი საკითხები ამ თათბირის კომპეტენციაში არ შედიოდა.

ეკონომიკურ კავშირში ასოცირებულ წევრად მიღება მარტივი პროცესი არ არის. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ, თუ, მაგალითად, 37 მუხლიდან ემხრობი 12-ს, დანარჩენს — არა, დაუბრკოლებლივ გაგიხსნიან კარებს. ასე, ცხადია, არ არის, რადგან კავშირს უჩნდება თავისი სისტემური ინტერესები და, ბუნებრივია, მასაც ექნება შენს მიღებასთან დაკავშირებული მოთხოვნები თუ პირობები.

ხაზი უნდა გავუსვა ერთ გარემოებას. საქართველოს მხრიდან ასოცირებულ წევრობაზე ლაპარაკი ფისტი კი არ იყო, არამედ — პოზიცია.

უმაღლესი, თითქმის ასპროცენტიანი ინტეგრაციიდან ურთიერთობათა ასპროცენტიან, სტერილურ გათიშვაზე გადასვლის გამო წარმოშობილი ვაკუუმი შესავსებია.

ამიტომ იყო, რომ საქართველოს დელეგაციამ ხელი მოაწერა ხელშეკრულების რამდენიმე მუხლს. უპირველეს ყოვლისა, ესაა მეტალურგთა და ქვანახშირის მწარმოებელთა კავშირის შესახებ; მრეწველობის დარგში ურთიერთობების შესახებ; ავღანეთის ომში და სხვა კონფლიქტებში დაღუპულთა ოჯახებისა და დაზარალებულთა სოციალური დაცვის შესახებ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო კონფლიქტების ზონებში სამოქალაქო თვითმფრინავებისადმი დამოკიდებულების საკითხი, რომელიც 1944 წლის კონვენციითაა მოწესრიგებული, და რომელიც ჩვენ არ გვიცვნია არც მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში შევდიოდით, არც შემდეგ.

ალბათ, საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველებისათვის იმის ცოდნა, რომ ეს საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დადგა მას შემდეგ, რაც სსრკ საჰაერო თავდაცვის ძალებმა ჩამოაგდეს კორეის „ბოინგ-747", რომელიც კალ-001 რეისს ასრულებდა და სსრკ საჰაერო სივრცეში შეიჭრა სახალინის თავზე.

კონვენციით, რომელზეც ვსაუბრობთ, მიჩნეულია, რომ სამოქალაქო თვითმფრინავი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ ზის შიგ, რა მისია აქვს დაკისრებული, რა ტვირთი გადააქვს, თუ მას აქვს სამოქალაქო ავიაციის ნიშნები და თვითონ არ ეწევა აგრესიას (ვთქვათ, არ ბომბავს დასახლებულ პუნქტებს), ხელშეუხებელია და მისი ჩამოგდება ითვლება დანაშაულად.

ამ ჭრილში აფხაზი სეპარატისტების მიერ სამოქალაქო თვითმფრინავების ჩამოგდება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უმძიმეს დარღვევად ითვლება. ჩემმა მოსაუბრემ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და აღნიშნა, რომ იმდღევანდელ რუსულ პრესაში აფხაზეთის მხარე ამის გამო ცალსახად დამნაშავედაა მიჩნეული. დადგება დრო, როდესაც ამის გამოც მოეკითხებათ სეპარატისტებს.

— ამ შეთანხმებაზე ხელისმოწერის შემდეგ, ჩვენ უფლება გვაქვს მივმართოთ ქვეყნებს, რომლებიც შეუერთდნენ 44 წლის კონვენციას, შეგვასონ აფხაზეთის ფაქტები, და ეს სასწრაფოდაა გასაკეთებელი, — თქვა მიხეილ ჯიბუტმა.

ეკონომიკის მინისტრმა დაასახელა დანარჩენი პუნქტებიც (სულ — 7), რომელთაც საქართველოს დელეგაციამ ხელი მოაწერა.

ამასთან, მას მიაჩნია, რომ საქართველოს პრემიერის მიერ აფხაზეთის საკითხის შესახებ განცხადების რამდენჯერმე გაკეთება, რაც თავისთავად რეგლამენტის დარღვევაა და საკმაო წინააღმდეგობასაც წააწყდა, საჭირო იყო: მთავარია, რომ ჩვენი იქ გამოხატული პოზიცია აქტიურად იმუშავებს საერთაშორისო არეალზე. პრემიერის ასეთი დაჟინებული და ვაჟკაცური მოქმედება მხოლოდ მოწონებას იმსახურებს.

— თავისთავად მოსკოვში საქართველოს დელეგაციის ჩასვლის ფაქტი ჩვენი ქვეყნისთვის ასეთ რთულ დროს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ საქართველოს აქვს თავისი ამბიციები, მომავლის იმედი და სწამს, რომ მისი სახელმწიფოებრივი რეზონი ყველა სიტუაციაში შენარჩუნებული იქნება.

— უმაღლესი რანგის ამგვარი აქციების დროს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულუარულ შეხვედრებს...

— დიახ, და ამ შეხვედრების დროს, უნდა გითხრათ, რომ ერთხმად იქნა აღიარებული როგორც უნიკალური მოვლენა ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის თავგანწირვა და პიროვნული სიმამაცე.

ამასთან კვლავ და კვლავ ვრწმუნდებოდით, რომ ჩვენი ქვეყნის თვითიზოლაცია დაუშვებელია. ჩვენ ვერ ვიქნებით ავტარკიული ქვეყანა. არ უნდა დავრჩეთ ისეთი სულელების როლში, რომლებიც საკუთარ შეცდომებზე სწავლობენ. უკვე დაგროვდა სხვათა გამოცდილება. მათი, ვინც რეფორმებში გაგვისწრო. მათი, ვინც გამოვიდა და ისევ შევიდა თანამეგობრობაში, გვაქვს პოსტკომუნისტური რეანიმაციის მაგალითები და ა. შ. უნდა ვიმუშაოთ ამ გამოცდილების გათვალისწინებით, გავითვალოთ სცენარები და ვარიანტები აკუმულირებული აზრების გარეშე.

და ეკონომიკის მინისტრი, ვთქვათ ასე, სულითა და ხორცით პრაგმატიკოსი, პოლიტიკაზე გადადის:

— საქართველოში, — ამბობს ის, — არ არსებობს სამოქალაქო ომის იდეოლოგიური საფუძველი. ეს კონფლიქტი, ბარიკადების საწინააღმდეგო მხარის დადგომა იმდენად დაბალ დონეზეა, რომ მისი გადაჭრა შესაძლებელია. საქართველოში გაერთიანება უნდა მოხდეს ახალი კონსტიტუციის საფუძველზე მისი შემოქმედების, შექმნის, ამოქმედების სტადიების მიხედვით.

* * *

თბილისის აეროპორტის ასაფრენ ზოლზე ეშვებოდა თვითმფრინავი, ეგებ ერთადერთი ამ ერთი კვირის მანძილზე, რომელსაც უბედურების მოლოდინით არ ხვდებოდნენ ადამიანები.

არმაზ სანებლიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის" სპეც. კორ.
მოსკოვი-თბილისი

სურათზე: საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია გამოდმებით ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში იყო.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა, სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისათვის").

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 213-214.

ხსოვნა

ტარიელ შარიფაშვილი

კიდევ ერთი შესანიშნავი ვაჟკაცი შეიწირა ომმა. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დიდი დანაკლისი განიცადეს.

სოხუმში შეწყდა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კასპის ბატალიონის მეთაურის, გვარდიის პოლკოვნიკის **ტარიელ ვლადიმერის ძე შარიფაშვილის** სიცოცხლე.

ტარიელ შარიფაშვილი დაიბადა 1960 წლის 20 დეკემბერს კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში. 1977 წელს დაამთავრა ზემო ხანდაკის საშუალო სკოლა. 1979-80 წლებში იყო სამხედრო სამსახურში, რის შემდეგ დაამთავრა თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკუმი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სატრანსპორტო გაერთიანებაში, თბილისის საავეჯო კომბინატში, საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საპროექტო განყოფილებაში, თელიანის კოლმეურნეობის იურისკონსულტად.

1991 წელს მისი თაოსნობით შეიქმნა ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონი. პარალელურად სწავლობდა თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1992 წლის 7 იანვარს დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დროებით რწმუნებულად კასპის რაიონში, იმავე წლის თებერვლიდან კი კასპის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო მიმდინარე წლის მარტიდან კასპის რაიონის გამგებელი იყო.

იყო ეროვნული გვარდიის სარდლის მოადგილე, გვარდიის პოლკოვნიკი. იბრძოდა სამაჩაბლოში, აფხაზეთში ომის დაწყების დღიდან თავისი ბატალიონით ფრონტის წინა ხაზზე იდგა.

25 სექტემბერს სოხუმის რკინიგზის სადგურთან შეტაკებაში მტრის ტყვიამ იმსხვერპლა.

დარჩა ახლადშექმნილი ოჯახი.

ახალგაზრდა ქართულ არმიას ტარიელ შარიფაშვილის სახით გამოაკლდა შესანიშნავი მეთაური, გამორჩეული ვაჟკაცი, ერთგულ დარაჯად რომ იდგა მამულს და მუდამ ორგანიზებულ, გაწვრთნილ ქართულ ჯარზე ოცნებობდა, სურდა, რომ არმიის მშენებლობა წარმართულიყო ერთიანი, პროფესიული, მობილური სტრუქტურის ჩამოყალიბების გზით. ამ დიდ, მნიშვნელოვან საქმეში მას თავისი წვლილი უნდა შეეტანა.

არ დასცალდა! ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ე. შევარდნაძე, ო. ფაცაცია, ვ. გოგუაძე, ნ. ლეკიშვილი, ვ. ლორთქიფანიძე, თ. ფიფია, გ. ყარყარაშვილი, ა. დათუაშვილი, ა. ცქიტიშვილი, ლ. შარაშენიძე, თ. დუმბაძე, რ. თავაძე, თ. ცხაკაია, ვ. გურგენიძე, ჯ. ჟუმბურიძე, ბ. გალდავაძე, ბ. ვაშაკიძე, ე. ჩხეიძე, ნ. ნიკოლაიშვილი, ბ. ლანჩავა, დ. გოგიბედაშვილი.

აკოფ ბლრციანი

გარდაიცვალა აკოფ არამის ძე ბლრციანი, ადამიანი, რომლის სახელთანაც განუყრელად არის დაკავშირებული სომხური პრესის უკანასკნელი ათწლეულების მთელი ისტორია საქართველოში.

ა. ა. ბლრციანი დაიბადა 1912 წელს. 1930 წელს დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ტექნიკუმი, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1930 წლიდან ა. ა. ბლრციანი მუშაობდა პედაგოგად, სკოლის დირექტორად, ახალქალაქის რაიაღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგედ, რაიონული გაზეთის რედაქტორად. 1945-1958 წლებში იგი იყო ახალქალაქის რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1959 წლიდან, 28 წლის მანძილზე, 1987 წლამდე ა. ა. ბლრციანი იყო გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქტორი.

ა. ა. ბლრციანი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას. იგი არჩეული იყო საქართველოს სსრ მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატად.

შრომისმოყვარეობა, ინიციატივა, სიმტკიცე, კომუნიკაბელურობა, უმაღლესი ადამიანური წესიერება და, რაც მთავარია, საქართველოს სიყვარული, — აი თვისებები, რომლებითაც გამოირჩეოდა შესანიშნავი მოქალაქე ა. ა. ბლრციანი.

ა. ა. ბლრციანის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმათ ხსოვნაში, ვინც მას იცნობდა.

ე. შევარდნაძე, ო. ფაცაცია, ვ. გოგუაძე, ა. კავსაძე, ვ. აბაშიძე, გ. გოგიაშვილი, აა. სილაგაძე, გ. ბაიბურთი, ს. სულეიმანოვი, ო. იოსელიანი, გ. ზუზაშვილი, ვ. ანასტასიადი, ა. სიხარულიძე, მ. გოგორიანი, რ. არზუმანიანი, მ. გრიგორიანი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გრძელდება საშიში დაპირისპირება

მოსკოვის სამართალდამცველი ორგანოები, როგორც იტარ-ტასის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოს ოპერატიულ შტაბში აცნობეს, განაგრძობენ მძიმე მუშაობას იმ უწესრიგობათა შესაძლო კერების ლოკალიზაციისათვის, რომლებსაც ახლა უკვე „თეთრი სახლის" შიდამოებში აწყობენ პროკომუნისტური და ნაციონალისტურ მოძრაობათა მომხრეები. 28 სექტემბერს მოძრაობა „რუსული ეროვნული ერთიანობა" იმუქრებოდა, რომ 29 სექტემბერს მოაწყობდა ტერორისტულ აქტებს. სამართალდამცველი ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მოსკოველებს არაფერი შეემთხვეთ შესაძლო პროვოკაციის დროს.

29 სექტემბერს დილიდან გაუქმებული პარლამენტის მომხრეებმა სსრ კავშირის ყოფილი დეპუტატის ვიქტორ ალქსნისის მეთაურობით გამართეს მიტინგი და გადაწყვიტეს „გაჭრილიყვნენ თეთრი სახლისაკენ". მილიციამ შეავიწროვა მომიტინგენი (სამასამდე კაცი) მეტროს უახლოესი სადგურისაკენ. და მაინც ოპერაციამ მოითხოვა კრასნაია პრესნიას — მთავარი მაგისტრალის გადაკეტვა. ამავე დროს ნაშუადღევს წარმოიქმნა მომიტინგეთა ახალი კერა კინოთეატრ „ბარიკადსა" და ზოოპარკს შორის მოედანზე, სადაც დაიწყო ბარიკადების აგება. მაგრამ მიტინგის მონაწილენი მალე დაშალეს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაზმებმა.

„თეთრი სახლის" მისადგომები ალყაშია მოქცეული და როგორც მეთვალყურენი აღნიშნავენ, აქ გაცილებით მეტი მილიციაა, ვიდრე მომიტინგე. მიტინგს, როგორც ასეთს, „არაქათი" გამოელია, მიაჩნიათ მათ. არავინ არ ჩანს ისეთი, ვინც ხელში რაიმე მოწოდებას ან ტრანსპარანტს დაიკავებდა. იტარ-ტასის კორესპონდენტმა შეძლო გაევლო მილიციელთა რკალი და მისულიყო ყოფილი პარლამენტის შენობასთან, მაგრამ სადარბაზოში მისი აკრედიტაცია „უფროსს მიუტანეს" და მალე დაუბრუნეს სიტყვებით „გაისეირნეთ".

ატლანტიკის ხელშეკრულების ასოციაციის გენერალური ასამბლეა

გუშინ საბერძნეთის დედაქალაქში გაიხსნა ატლანტიკის ხელშეკრულების ასოციაციის გენერალური ასამბლეა. ფორუმის მუშაობაში მონაწილეობისათვის, რომელიც იმართება ლოზუნგით „ნატოს პასუხი ევროპაში ამჟამად მიმდინარე ცვლილებებზე", უკვე ჩამოვიდა გაერთიანების წევრი ქვეყნების, აგრეთვე აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოების, მათ შორის რუსეთის, დაახლოებით 400 წარმომადგენელი. როგორც ასამბლეის გამართვის წინადღით იუწყებოდნენ, უნდა განიხილონ ნატოს წევრთა რიცხვის გაფართოების საკითხი.

ჰეიდარ ალიევი დარწმუნებულია

„დარწმუნებული ვარ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შემადგენლობაში აზერბაიჯანი არა მარტო შეინარჩუნებს, არამედ განიმტკიცებს კიდეც თავის დამოუკიდებლობას" — განაცხადა პრეზიდენტის უფლებამოსილებათა შემსრულებელმა, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ჰეიდარ ალიევმა ეროვნული კრების სხდომაზე გამოსვლისას, რომელიც 29 სექტემბერს გაიხსნა დღის მეორე ნახევარში ბაქოში. როგორც მან თქვა, როცა ვფიქრობთ იმაზე, თუ რა შეიძინა და რა დაკარგა აზერბაიჯანმა, როცა სულ ცოტა ხნის წინათ ამ თანამეგობრობის გარეთ რჩებოდა, გამოვიტანეთ დასკვნა: „რესპუბლიკამ მხოლოდ დაკარგა".

გაიმართა შეხვედრა

ოთხშაბათს ნიუ-იორკში გაიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრეი კოზირევისა და ევროპის გაერთიანების წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განიხილეს ევროპის გაერთიანებასთან რუსეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები. ორმხრივი აზრით, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ვრცელი შეთანხმების დადება ხელს შეუწყობს თვისებრივად ახალ დონეზე რუსეთისა და ევროპის გაერთიანების ურთიერთობის აყვანას.

იაპონიის კონსტრუქციული პოზიცია

რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ოფიციალური ვიზიტის დროს, რომელიც 12 ოქტომბერს იწყება, იაპონიის მთავრობა არ აპირებს მოითხოვოს, რომ ერთობლივ განცხადებაში გასაგებად იყოს მოხსენიებული 1956 წლის დეკლარაცია, რომელშიც სსრ კავშირი ჰპირდება თავის აღმოსავლელ მეზობელს სამხრეთ კურილის ნაწილის გადაცემას სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ. ამას იუწყება ტოკიოს ყველა ცენტრალური გაზეთი, რომლებიც იმოწმებენ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ ხელმძღვანელს. ამ წყაროს ცნობით, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს უაზრობად მიაჩნია, რომ კვლავაც მოითხოვოს 1956 წლის ერთობლივი დეკლარაციის „დადასტურება", რადგან „ისედაც ნათელია, რომ იგი ინარჩუნებს თავის ძალას". ამავე დროს, საგარეო საქმეთა სამინისტროში ფიქრობენ, რომ ამ დოკუმენტის გახსენება ახლა რამდენადმე უხერხულია, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის რთულ საშინაო-პოლიტიკურ ვითარებას.

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა მორიხირო ხოსოკავამ განაცხადა, რომ ესწრაფვის ტერიტორიული საკითხის გადაწყვეტას და რუსეთთან ურთიერთობის სრულ ნორმალიზაციას. მაგრამ ამის პარალელურად, აღნიშნა მან ნიუ-იორკში გამართულ პრესკონფერენციაზე, ტოკიო კვლავინდებურად დაუჭერს მხარს პრეზიდენტ ბორის ელცინის ადმინისტრაციის ძალისხმევას რეფორმების განხორციელებისათვის. როგორც იაპონიის მთავრობის მეთაურმა თქვა, მან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბილ კლინტონს შეატყობინა ამგვარი ორმხრივი მიდგომა რუსეთთან ურთიერთობისადმი ნიუ-იორკში გამართული ორი ქვეყნის ლიდერთან მოლაპარაკების დროს. ამერიკის ხელმძღვანელი, თქვა პრემიერ-მინისტრმა, გაგებით მოეკიდა ტოკიოს ამგვარ პოზიციას.

მსოფლიოს ინტელექტუალთა შეხვედრა

ქალაქ კარტახენაში იუნესკოს ეგიდით გაიმართა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეთა, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენელთა შეხვედრა. შეხვედრის მონაწილეთა შორის არიან ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი, ნობელის პრემიის ლაურეატი კოლუმბიელი მწერალი გაბრიელ გარსია მარკესი.

შეხვედრის გახსნისას **იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა ფედერიკო მაიორმა მოუწოდა შეკრებილთ ერთად ჩაუფიქრდნენ პლანეტის მომავალს, გამონახონ ახალი მიდგომა მსოფლიო საზოგადოებრიობის განვითარებისათვის.** როგორც მან თქვა, „ამ სფეროში წინათ **გაბატონებულმა იდეოლოგიებმა ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობანი**". ასეთმა შეხვედრებმა უნდა **„გაამდიდრონ იუნესკოს" ინტელექტუალური პოტენციალი და მსოფლიოს ინტელექტუალური ელიტის მეშვეობით განსაზღვრონ მსოფლიო საზოგადოებრიობის როლი მომავალ საუკუნეში**". დაგეგმილია, რომ ასეთი შეხვედრები რეგულარულად გაიმართება. მათ დასაბამი მიეცა შარშან პარიზში.

გენერალი სთავაზობს...

მრავალეროვნული ძალების სარდალმა სპარსეთის ყურის რაიონში ომის დროს გენერალმა ნორმან შვარცკოფმა შეერთებული შტატების ხელმძღვანელობას შესთავაზა გამოიყენონ ბირთვული შანტაჟი ერაყის მიმართ, რათა არ დაუშვან ერაყის შეიარაღებული ძალების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენება, კერძოდ ისრაელის წინააღმდეგ. ასეთ მტკიცებას შეიცავს ახალი წიგნი „ჯვაროსნული ლაშქრობა", რომელიც ეძღვნება ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის" დროს სახელგანთქმული ამ გენერლის მოღვაწეობას.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სოფელს მიხედოთ, სოფელს!

პურ-ღვინის ამბავი,

ანუ გარეჯელები რთვლის მოლოდინში

საგარეჯოში მაშინ ცუდ ფეხზე ჩავედი. ავტობუსიდან გადავედი თუ არა, ავდარი დაიწყო და, უკვე მთლად გალუმპულმა, გასტრონომიულ მაღაზიას შევაფარე თავი.

გასტრონომში სიცარიელე და სიღარიბე სუფევდა. ცხაურში მოწყენილი ქალები იდგნენ. საქმე არაფერი ჰქონდათ. დირექტორი, ანზორ პეტრიაშვილიც დაღონებული იყო. რა ვქნაო, მეუბნება. მოსახლეობას სიებზე გრამობით ვუნაწილებთ სურსათს, ეს ხალხს არა ჰყოფნის და ფიქრი მჭამს, სად წავიდე, რა ვქნა?

და, მართლაც, რა ქნას ამ კაცმა? მან რომ ვაჭრობის ავ-კარგი იცის, არა მგონია, სხვამ უკეთესად იცოდეს, თუნდაც იმ ჯიხურებში გამრავლებულმა კომერსანტებმა. მისთვის არ მიკითხავს, მაგრამ მჯერა, რომ ვაჭრობა ამ ჯიხურებისკენ მიმავალი გზით ვერ განვითარდება.

არ მინდა ის არხები ვიკითხო, რითაც ეს უთვალავი კომერციული ჯიხურები იკვებება. მით უმეტეს, რომ ამჯერად საგარეჯოს პურ-ღვინის ამბავი მაინტერესებს.

ავდარში სეტყვამ წამოუშინა და გასტრონომიულ მაღაზიაში თავშეფარებულები გულისტკივილით ამბობენ, რომ „კოსტაბის" ვენახები ისეტყვაო. იორზე უფროო, — სინანულით ამბობს ვიღაც ჭარმაგი კაცი. არა მგონია, რომ კახელივით სიტყვას ასე მწარედ და მტკივნეულად ვინმე განიცდიდეს. იმიტომ, რომ სეტყვა ვენახივით ვერაფერს აზარალებს. ხშირად ისე ხდება, რომ ახლანდელივით რთველამდე ორიოდე კვირა რჩება და მთელი წლის მოსავალს სეტყვა ანადგურებს.

გამგებლის მოადგილე თამაზ ღულაშვილს დანა პირს არ უხსნიდა. ვნახე ვენახებიო, ჩემი საკუთარიც... თითქმის განადგურებულია. შავ დღეში ვართო, — ამბობს. — ქვეყანა შევყარეთ, რთველისათვის საწვავი გვექნებაო და ჩვენი ცისტერნა აქ ჩამოტანამდე გაუძარცვავთ. ოცდაათი პროცენტი წყალი ასხიაო. თუ ეს ასეა, ძრავები ვერ იმუშავებს და თქვენ წარმოიდგინეთ, როგორი რთველი გვექნება. შეიძლება? — ამბობდა მართლაც გამოცდილი სოფლის მეურნეობის მუშაკი, საწვავ-საცხები მასალები სახელმწიფოს განკარგულებაში არ იყოსო. მე გულწრფელად მეშინია, რომ კახეთი ამ ძარცვა-გლეჯას, ჩვენი საწვავის სომხეთში გაყიდვას ვეღარ აიტანს და ავად მოეჩვევა ყველას, ვისაც სათავისო და სახვისო საქმე ვერ გაურჩევია.

მაგას მეცა ვგრძნობ. კახეთი დაძაბულია. ხალხი ამ განუკითხაობას ვეღარ აიტანს. აშკარად ამბობენ კიდევაც: რაკი ვიღაცეებს დემოკრატია ასე უკუღმართულად ესმით, რაკი ჰგონიათ, ნაძირალების ამინდი დადგა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ დიახაც მკაცრად უნდა მოსთხოვოს პასუხი ყველა გარეწარს და უნდა გადაარჩინოს ჩვენი დემოკრატია.

...აგროსამრეწველო სამმართველოში, უფროსთან, ვალიკო მჭედლიშვილთან მაშინ გაირკვა, რომ მანავისა და კაკაბეთის მხარე გადარჩა, არ დასეტყვილა და იქ გამართული რთველი იქნება.

პურეულის აღება იყო მაშინ გარე კახეთში.

გაირკვა, რომ თოხლიაურელთა საჰექტარო მოსავალი 20 ცენტნერი იყო, ვერხვიანელებისა — 21 ცენტნერი.

ალოობისას „ჰოპუა" მახსენდება. ამ მეტსახელით იცნობენ სახელოვან კომბაინერს ვალერიან ალექსაშვილს, უწინ სოციალისტური შრომის გმირი ერქვა. მართალია, სოციალისტური ყვალატიერი გადავარდა, მაგრამ ვინ იტყვის, რომ „ჰოპუა" შრომის გმირი არ არის, დიახაც, რომ არის ყოველგვარი ზედსართავის გარეშე. მასთან დაკავშირებით, ხშირად ერთი ამბავი მახსენდება. მაშინ „თბილისქალაქობა" იმართებოდა ხოლმე. საგარეჯოელები მეტეხზე იდიბდნენ ბინას. ეს საუკეთესო ადგილი იყო, და, იცით, მედიკო მეზვრიშვილმა როგორ მოიპოვა იგი? ცეკაში უთქვამს, ვახტანგ გორგასალი ჩვენებური იყოო. არავის მოუსაზრებია, რომ შეპასუხებოდა, მეფე უჯარმელი კი არა, მთელი საქართველოსი იყოო. აი, ხომ ხედავთ, მედიკოს ღმერთმა უშველოს, და ის საქმეც გონიერად გაუკეთებია.

ჰოდა, მაშინ მეტეხზე საგარეჯოელებს თავი მოეყარათ, რა თქმა უნდა, „ჩინ-მენდლებითა". „ჰოპუაც", მაშასადამე, ვალერიან ალექსაშვილიც იქ წამოეყვანათ. ერთმანეთს გულითადად შეხვედრიან და ცოტა არ იყოს, გაოცებულმა ვკითხე, გმირის ვარსკვლავი ან დანარჩენი ორდენები სადა გაქვს-მეთქი. „კი მითხრეს წამოიღეო, მაგრამ რა ვი, არ გამიკეთებია", და „ჰოპუამ" შარვლის ჯიბიდან ამოიღო ცხვირსახოცში გამოხვეული „ჩინ-მენდლები". ვიგრძენი, რომ ის ჩვენი თანამემამულე იმ დღეს ყველას გვჯობდა, სიალალითა და უბრალოებით.

თითქოს დავიწყებული „მინდვრის დედოფალი" გახსენებიათ გიორგიწმინდელ, თოხლიაურელ და მანაველ მესიმინდეებს. დღევანდელ უპურობაში და გაჭირვებაში, არ შეიძლება არ გადახაროთ სამ მეტრზე მეტი სიმაღლის უხვად დატაროიანებულმა სიმინდის ყანამ. ეს კერძო მესაკუთრეთა ნაკვეთებია. აქ სოფლების მიმდებარე ტერიტორიებია და, ბუნებრივია, ამ სოფლელ მეპატრონეთა ნაკვეთებიც აქ არის. გახარებული ხალხი 5-6 ათას ტონა მარცვალს ელოდება. არ დაიჯერებთ და, ეს უწინდელი 5 წლის მოსავალი მაინც არის. აი, თვალსაჩინო მაგალითი ურწმუნოთათვის: კერძო საკუთრება საზოგადოებრივს რომ სჯობს, ამავე საკითხზე საუბრობს აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსი ვალერიან [illegible]შვილი:

— რა თქმა უნდა, კერძო საკუთრებას დღეს ძალიან უჭირს, არა გვაქვს მარაგნაწილები, შხამქიმიკატები, საწვავი. სწორი შიდა ეკონომიკური პოლიტიკით ამგვარი ვითარება უნდა გამოსწორდეს. აი, ახლა ხომ ძალიან გვიჭირს ვენახების მოვლა, არც კი შეიძლება შედარება, იმდენად უკეთესი პირი უჩანს კერძო ვენახებს. ამ გაჭირვებაშიც კი 4 ათასი ჰექტარი კერძო ვენახიდან 70-80 პროცენტი კარგად არის დამუშავებული და იქ ბარე 20 ათას ტონა ყურძენს ელოდებიან.

ვენახების პატრონები შარშანდელი მოსავლის ფულადი ანაზღაურებით ძალიან უკმაყოფილონი არიან. მითხრეს — შრომა მაშინ აგვინაზღაურეს, როცა, ფული სულ ცოტა ათჯერ გაუფასურდაო.

თუ გვინდა, რომ გლეხმა ღვინის ქარხნებს მიყიდოს მოსავალი, მას საბაზროსთან მიახლოებული ფასი უნდა გადავუხადოთ, რა თქმა უნდა, ყურძნის ჩაბარებისთანავე. თანაც, რთველობისას საწვავით უნდა დავეხმაროთ. თუ გვინდა, რომ ღვინო გვქონდეს და ქვეყანას დანგრეული ეკონომიკის წამოყენებაში ცოტა მაინც წავეშველოთ.

მინაწერი: აფხაზეთში კვლავ იფეთქა რეაქციონერთა მიერ გაჩაღებულმა ომმა. სულ გადაიბუგა სოხუმი. იქ საგარეჯოელი ვაჟკაცებიც იბრძოდნენ. მათთან ერთად იყო საგარეჯოს გამგებელი გივი ხაბაშვილი. სოხუმისათვის ბრძოლაში დაეცა საგარეჯოელი ვახტანგ თედიაშვილი, ძე იმ ბეჭდაუდებელი ფალავნისა, რომელსაც ლევანი ჰქვია და რომელმაც ესოდენ ასახელა თავისი რაიონი, თავისი სამშობლო.

ამ გულისტკივილს კიდევ ბევრჯერ გაიხსენებენ გარეკახელები, რომლებიც ფიქრობენ, რომ აფხაზეთისათვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა.

რთველი იწყება საგარეჯოში, ერთ კვირაში ძალაში შევა. სახელოვან გუთნისდედა „ჰოპუას" დიდი ვენახი აქვს და რთველიც ექნება. ასეა საგარეჯოში, პურისა და ღვინის რაიონში.

ჯემალ ქურხული.

ინფორმაცია 93

საქინფორმი. იბერია

ფოთი. როგორც ფოთის მერის მოადგილემ ირაკლი მოწერელიამ გვაცნობა, ქალაქის საწარმოები წინანდელი რიტმით მუშაობენ, თუმცა, კრიმინოგენური სიტუაცია რამდენადმე გართულდა, არის თავდასხმების და ყაჩაღობის შემთხვევები. გუშინ ზვიად გამსახურდიას ასამდე მომხრემ გამართა მიტინგი კინოთეატრის მახლობლად. მიტინგის ორგანიზატორები თავდაპირველად არ ჩქარობდნენ ამ ღონისძიების გამართვას, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ უფრო მეტ ხალხს მოიზიდავდნენ, მაგრამ მიტინგზე დასწრების მსურველი მაინც ბევრი არ აღმოჩნდა. უფრო მეტიც, ერთ-ერთმა გამომსვლელმა აიღო მიკროფონი და მოუწოდა შეკრებილთ შეეწყვიტათ ფუჭი ყაყანი და რეალურად, საქმით დახმარებოდნენ სამშობლოს ამ ძნელბედობის ჟამს.

ლანჩხუთი. ქალაქში ვითარება მშვიდია, გვაცნობა რაიონის გამგებელმა ანზორ კილაძემ. აქ ცხვება პური, არის ელექტროენერგია, სასმელი წყალი. დიზელის სათბობის შეზღუდული მარაგის გამო ავტობუსები მოძრაობენ მხოლოდ ქალაქის მარშრუტებით. მაზუთის უკმარისობა ართულებს ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკების მუშაობას.

ოზურგეთი. როგორც რაიონის გამგებელმა დავით კოპალეიშვილმა გვითხრა, აქ ხორციელდება საგანგებო წესებით გათვალისწინებული ღონისძიებანი. მთელი დღე-ღამის განმავლობაში მოქმედებს პიკეტები, გრძელდება უკანონო იარაღის ჩამორთმევის ოპერაციები. ქალაქი ემზადება აფხაზეთიდან ლტოლვილთა მიღება-დაბინავებისათვის.

წყალტუბო. წყალტუბოში გაიმართა ქუთაისის საწარმოებისა და წყალტუბოს ზონის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა შეხვედრა, რომლის მიზანი იყო შეემუშავებინათ კონკრეტული ღონისძიებანი აფხაზეთიდან ლტოლვილთა დაბინავებისა და შრომითი მოწყობის შესახებ. ქუთაისსა და წყალტუბოში დროებით გამოხიზნული ყველა ბავშვი გაამწესეს საბავშვო ბაღებსა და სკოლებში, გამოუყვეს ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სახელმძღვანელოების შესაძენად საჭირო სახსრები. შრომისუნარიანი მოსახლეობა სპეციალურ აღრიცხვაზეა აყვანილი და მათ შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილებენ შესაბამისი სამუშაოთი. საკონსერვო ქარხნის, ხორცკომბინატის, წისქვილკომბინატისა და წყალტუბოს ზონის სოფელ ფარცხანაყანევის მრავალდარგობრივი ფირმის ხელმძღვანელებმა დათქვეს, რომ ლტოლვილებს მიაწვდიან რძეს, რძის პროდუქტებსა და ხორცს.

ჭიათურა. აფხაზეთში ომის მსხვერპლთა ხსოვნის დღე გაიმართა ჭიათურაში, რომლის ორგანიზატორი გახდა საქველმოქმედო საზოგადოება „ნაგუთელი“. მღვიმევის ქალთა მონასტრის მოძღვარმა მელქისედეკმა, კაცხის მონასტრის მოძღვარმა მამა ამირანმა და შავნაბადის წმინდა გიორგის ეკლესიის მოძღვარმა მამა შიომ აღავლინეს სამგლოვიარო ლოცვა იმ 100-ზე მეტი ჭიათურელის სულის მოსახსენიებლად, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს საქართველოს მთლიანობას. ლოცვის შემდეგ ფირმა „იბერიკამ“ განახორციელა პირველი საჭიროების საქონლის, სურსათისა და ფინანსური სახსრების მასობრივი შეგროვება იმ ოჯახებისათვის, რომლებმაც დაკარგეს მარჩენალი, აფხაზეთში დაობლებული და ჭიათურას შეხიზნული ბავშვებისათვის. 60 ლტოლვილ ბავშვს საზოგადოება „ნაგუთელი“ ყოველთვიურად გამოუყოფს ნახევარ მილიონ კუპონის მატერიალურ სახსრებს.

სოხუმი. ქალაქს უბრუნდება აფხაზი, ბერძენი და სომეხი ეროვნების მოსახლეობა, რომელთა განცხადებით, ქართველი ოკუპანტებისაგან გათავისუფლებულ ტერიტორიაზე მათ სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

ბათუმი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 7.000-მდე ლტოლვილია. ისინი ძირითადად სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში არიან მოთავსებულნი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს მათი პირობების გასაუმჯობესებლად.

ზუგდიდი. აქ განუწყვეტლივ მატულობს ლტოლვილთა ნაკადი ოჩამჩირიდან, გალიდან და სხვა რაიონებიდან.

ქ. ზუგდიდში, თავისუფლების მოედანზე, თავი მოიყარა ათასობით ლტოლვილმა. მდგომარეობას ძლიერ ართულებს უტრანსპორტობა, რის გამოც ქ. ზუგდიდიდან ვერ ხერხდება ლტოლვილთა გაყვანა და დაბინავება.

ჩოხატაური. რაიონული გამგეობის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რაიონში გარეგნულად სიმშვიდეა. ჭამანაში კვლავ გამოჩნდნენ ვ. ქობალიას შეიარაღებული ფორმირებები. ისინი მოძრაობენ ჩოხატაურსა და ოზურგეთს შორის. ფაქტობრივად ისინი ჩოხატაურის რაიონის ტერიტორიიდან არ გასულან. რაიმე სერიოზულ გართულებებს ადგილი არ ჰქონია.

გალი. აფხაზეთის მხარის შეიარაღებულ ფორმირებათა შესაძლო შეტევისაგან თავდაცვის მიზნით, გალის რაიონის გამგებლის რუდიკ ცატავას განკარგულებით, 30 სექტემბერს, შუადღისას, გამოცხადდა განგაში და დაიწყო ქალაქის მოსახლეობის ევაკუაცია.

გალიდან გაყვანილია თითქმის მთელი მოსახლეობა. საქართველოს შეიარაღებული ძალები განლაგებულნი არიან სოფელ აჩიგვარის მიდამოებში. არის ლოკალური ბრძოლები.

ეს ჩვენი საქართველოა!

კურსი — ბათუმის პორტი

საზღვაო პორტის დაძაბული მუშაობის რიტმს შეჩვეულ ბათუმელებსაც კი აოცებთ იმ ხომალდთა ქიმებზე აფრიალებულ დროშათა მრავალფეროვნება, რომელთაც საქართველოში ჩამოიტანეს ფქვილი და ხორბალი, შაქარი და რძის ფხვნილი, მედიკამენტები, სამედიცინო მოწყობილობა. ამ ტვირთის ნაწილი სომხეთისთვისაა განკუთვნილი.

ხორბლით დატვირთული ხომალდების დამუშავების დასაჩქარებლად გამოყენებულ იქნა პირდაპირ პორტის აკვატორიაში ტრიუმიდან ტრიუმში გადატვირთვის ვარიანტი.

სურათებზე: 1. „ინჯერი“, რომელმაც ბათუმში შემოტანილ ხორბალს პირდაპირ ზღვაში „კატერინა ლ“-ის ტრიუმში გადატვირთავს. 2. კამის სანაოსნო მდინარე-ზღვის ტიპის თბომავალმა „ვოლგა-დონმა“ ბათუმში შემოიტანა სამედიცინო მოწყობილობით დატვირთული 95 კონტეინერი თელავის ბავშვთა საავადმყოფოსათვის, აგრეთვე მედიკამენტები, ბავშვთა კვება, რძის ფხვნილი, თბილისის, ბათუმისა და თელავისათვის. ტვირთის მიმღები — ბათუმის ბანკი „ლიბერტი“ უზრუნველყოფს ამ ტვირთის უსაფრთხოებასა და ადრესატებისათვის გაგზავნას, იხდის ტრანსპორტირებისათვის გაწეულ ხარჯებს.

ს. ბაროიანის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მართალი კაცის გზა

ყოველთვის მორიდებული, ამბიციებისაგან თავისუფალი, მუდამ შრომით მიიკვლევს გზას. ეს არის მართალი და პატიოსანი კაცის გზა, რომელმაც მას სიყვარული და პატივისცემა მოუტანა.

ჩვენ ვლაპარაკობთ ვახტანგ ლოლაძეზე, რომელსაც ახლა სამოცდაათი წელი შეუსრულდა. მან ორმოც წელზე მეტი მოახმარა ქართულ თეატრს. იყო შვიდი სახელმწიფო თეატრის დირექტორი, სადაც გამოჩნდა მისი არა მარტო ორგანიზატორული ნიჭი, ხელოვნებისადმი უდიდესი სიყვარული, არამედ სისპეტაკეც. ყველგან მიიტანა თავისი უანგარო შრომის სიხარული, აჩვენა ეროვნული საქმისადმი თავდადების მაგალითი.

ვახტანგ ლოლაძემ სამი წელი იმუშავა თბილისის თოჯინების თეატრის დირექტორად. შემდეგ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის დირექტორ-განმკარგულებლად. მას წილად ხვდა ბედნიერება, როგორც დირექტორს, მონაწილეობა მიეღო რუსთაველის თეატრის დაფუძნებაში, როცა შეიქმნა ქართული თეატრის საუკეთესო სპექტაკლები: როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“ და კარასტოიანოვის „ასი წლის შემდეგ“ (რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე).

თეატრის სპექტაკლების წარმატებაში პოულობდა პირად სიხარულს, ბედნიერი იყო, რომ თავისი წვლილი შეჰქონდა ეროვნული კულტურის წინსვლაში. ეს იყო უჩინარი, განსხვავებული წვლილი.

ვახტანგ ლოლაძე თეატრმცოდნეობიდან მივიდა თეატრში. უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა არაერთი შრომა. თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დაიწყო ინტენსიური მოღვაწეობა. ზ. სალუქვაძესთან ერთად გამოსცა წიგნი „სერგეი მესხის ცხოვრება და მოღვაწეობა“, გამოაქვეყნა წიგნები: „დავით რონდელი“, „გიორგი პიპინაშვილი“, „ლეო ესაკია“, „გოგუცა კუპრაშვილი“, თარგმნიდა პიესებს, აწყობდა ტელე და რადიოგადაცემებს, მაგრამ შემდგომ მთელი ცხოვრება პრაქტიკულ საქმიანობას დაუკავშირა.

ყოველივე ეს ცნობილია ფართო საზოგადოებრიობისათვის, მაგრამ ცოტამ თუ იცის ვახტანგ ლოლაძის მონაწილეობის შესახებ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ვინც მიტინგზე ორიოდე ლოზუნგი ისროლა, თუ ტაში დაუკრა, — ყველა იმის ცდაშია, ეროვნულ მოღვაწედ წარმოაჩინოს თავი. პირდაპირ გაოგნდები. კაცი, ისეთს წერენ და ლაპარაკობენ — თითქოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სამი თუ ათიოდე წლის წინ დაიწყეთ მავანთა და მავანთა, ვახტანგ ლოლაძე კი თანამოაზრეებთან ერთად 1939 წელს აქტიურად მონაწილეობდა ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში.

ვახტანგ ლოლაძეს დღემდე პრესაში სიტყვაც კი არ დასცდენია ამის შესახებ. დაშვებული „ემიგრობის“ ჟამს, ერთობ ადვილია ნებისმიერი მთავრობის, პიროვნებისა თუ სისტემის კრიტიკა, მაშინ კი სულ სხვა იყო, როცა ვახტანგ ლოლაძემ აღიმაღლა ხმა. მძვინვარებდა ტერორი და განუკითხაობა. 1937 წლის ტრაგედიის შემდეგ შიში თითქოს გენეტიკურად დაბუდდა ადამიანთა შეგნებაში, მაგრამ ვერ მოტეხეს ერთეულთა სულები და ისინი მაინც საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებაზე ოცნებობდნენ. მათ შორის იყო ვახტანგ ლოლაძეც.

1939 წლის ნოემბრის ერთ სუსხიან დღეს დააპატიმრეს მეათე კლასის მოსწავლე ვახტანგ ლოლაძე. მასთან ერთად დაიჭირეს ორგანიზაციის ხუთი წევრი (დღეს არც ერთი ცოცხალი აღარ არის).

გამოძიება მიჰყავდა ცნობილ სადისტს, კრიმინალს. ეს ის კრიმინალი [illegible] 1936-38 წლებში ქართული [illegible] მოღვაწეთა ერთი [illegible] ლის) განადგურებაში რომ მონაწილეობდა. და აი, იგი დაჰკითხავს მეათე კლასის მოსწავლეს ვახტანგ ლოლაძეს. საბრალდებო დასკვნაში, რომელსაც აგრეთვე ხელს აწერდა სუკის გენერალი რუხაძე, წერია: „1939 წლის 5 ნოემბერს. გახსნილი და ლიკვიდირებული იქნა ახალგაზრდული კონტრრევოლუციური ორგანიზაცია „საქართველო“.

[illegible]

... დაიწყო ახალგაზრდა პატრიოტის ტანჯვის დღეები. „დაკავების დღესვე შემიყვანეს საგამოძიებლო ოთახში, სადაც რვა კაცი იყო, — იგონებს ვახტანგ ლოლაძე, — მხიარულად შემხვდნენ, იცინოდნენ. მერე დამსვეს შუაში. თავად კი ზურგს უკან განლაგდნენ. დაიწყეს დაკითხვა, უკან მოხედვის უფლებას არ მაძლევდნენ, საშინელი დაძაბული ატმოსფერო გამეფდა. მემუქრებოდნენ, მალე მივხვდი, რომ მათ ყველაფერი იცოდნენ. ისიც კი იცოდნენ, თუ რა ლიტერატურა უნდა გვეშოვა, რომელი პატრიოტის სურათი და რას ვლაპარაკობდით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე. აინტერესებდათ, თუ ვინ იყო უფროსთაგან ხელმძღვანელი“. მერე იწყება დამცირების, წამების დღეები. დაკითხვები დღისით და გვიან ღამით. წიხლებით ცემა სახეში. მშიერ-მწყურვალი კედელთან პირშექცევით დგომა. „მისივდებოდა ფეხები... მკლავდა წყურვილი... ასე გაგრძელდა ოთხი თვე“...

გამოძიებამ დაადასტურა ორგანიზაცია „საქართველოს“ ანტისაბჭოთა ქმედება და ვახტანგ ლოლაძეს სისხლის სამართლის 58-10 და 58-11 მუხლების საფუძველზე მიუსაჯა პატიმრობა ციხის რეჟიმით და შემდეგ თბილისში ცხოვრების უფლების ჩამორთმევა.

ხუთი წელი იყო ახალგაზრდა პოლიტპატიმარი ციხესა და კოლონიაში. ცხოვრების ხუთი საუკეთესო წელი! სასჯელს იხდიდა ქედუხრელად, წუწუნისა და ჩივილის გარეშე, რადგან იცოდა, რომ საქართველოს თავისუფლებისათვის ისჯებოდა. სწორედ ამის შეგნება ამხნევებდა და უნერგავდა მომავლის რწმენას. განთავისუფლების შემდეგაც რთული იყო ყოფილი პოლიტპატიმრის ხვედრი, მის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდა სუკი, თბილისში არ ცხოვრობდა, მაგრამ არალეგალურად ხან სად ათევდა ღამეს და ხან სად. „რამდენჯერმე ღამით სახლში მომისწრეს და რამდენიმე დღე მილიციის საკანში გამატარებინეს. არ დარჩენილა არც ერთი ნათესავი, არც ერთი მეგობარი — დოდო აბაშიძე თუ შოთა სალუქვაძე, გივი თოხაძე თუ ვახტანგ ჭარხელაძე და სხვანი, რომ მათი ღამის სტუმარი არ ვყოფილიყავი“.

დევნილს არასდროს შეუწყვეტია ფიქრი საქართველოს დამოუკიდებლობაზე. რომანტიკულად [illegible] და დრამატული იყო [illegible] ბრძოლის წლები. [illegible] გვწამდა, რომ დადგებოდა საქართველოს განთავისუფლების ჟამი. გული მტკივა, რომ ამას ვერ მოესწრნენ ჩვენი ორგანიზაციის წევრები ილია ჭავჭავაძის სახელობის მესამე საცდელ-საჩვენებელი სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც შევქმენით არალეგალური ორგანიზაცია „საქართველო“. აღარ არიან ალიოშა ფლენტი, თემურ ჯაფარიძე, ირაკლი ავალიშვილი, სანდრო ნატროშვილი, იოსებ გვარამაძე, დავრჩი მარტო მე“...

ეს ნაღვლიანი სტრიქონები ჩვენი ტრაგიკული ისტორიის ნაწილია. ამასთანავე ეს არის ღირსებისა და კაცური კაცობის, ეროვნულ მოძრაობაში თეატრის მოღვაწეთა ღვაწლისა და ამაგის ნათელი ფურცლებიც.

ისტორიის ამ ფურცლებს ამშვენებს ვახტანგ ლოლაძის სახელიც. იგი კვლავ უხმაუროდ, უპრეტენზიოდ მოღვაწეობს. მსახიობთა სახლის დირექტორს ვახტანგ ლოლაძეს მუდამ საქვეყნო საქმეზე ზრუნვა და ფიქრი არგუნა ბედმა, უკვლოდ არ გამქრალა საკანსა თუ კოლონიებში გატარებული პოლიტპატიმრის წლები. წლოთა დაღმართზე დაშვების ჟამს აუხდა სიჭაბუკის ნაოცნებარი — შეესწრო საქართველოს დამოუკიდებლობას, რაშიაც ერთი აგური ვახტანგ ლოლაძესაც აქვს მიტანილი. ქვეყანა კი ვერ აშენდება „ერთი ქვა რომ არ ამაგრებდეს მეორეს“ (სენეკა).

ვასილ კიკნაძე.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში •

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

რეზერვები არის, საჭიროა მათი შევსება...

გაზვიადებული აღმოჩნდა ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს საქართველოში არ იყოს ხორბლის, ფქვილის რეზერვები. ყოველ შემთხვევაში, რესპუბლიკური სასურსათო კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ეს საკმარისი იქნება კიდევ ერთ თვეს. ამავე დროს, უკვე ახლა, ოპერატიულად უნდა განხორციელდეს მარცვლეულის მარაგის შევსების ღონისძიებანი. ამასთან დაკავშირებით, დამამედიმედებელია ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის გადაწყვეტილება საქართველოსათვის 160 ათას ტონაზე მეტი ხორბლის გამოყოფის შესახებ. სარწმუნოდ გვეჩვენება ისიც, რომ ყაზახეთიდან მივიღებთ 100 ათას ტონაზე მეტ მარცვლეულს.

მაგრამ, როგორც სხდომაზე აღინიშნა, უნდა გავითვალისწინოთ ოკეანისა და შუა აზიის ქვეყნის გავლით ხორბლის ტრანსპორტირებისათვის საჭირო დროც. ამის გამო არ უნდა დაიკარგოს გაუმართლებლად არც ერთი დღე ნავსადგურებსა და რკინიგზის სადგურებში მათი გადმოტვირთვის დროს.

კომისიამ საქართველოს ეროვნულ ბანკს წინადადება მისცა ხელი შეუწყოს მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვას, რადგან, როგორც პრაქტიკამ ცხადყო, სანამ გრძელდება პოლემიკა ამ საკითხზე, რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ახლა ესოდენ საჭირო კარტოფილი, ხახვი, სხვა პროდუქტები გააქვთ მეზობელ ქვეყნებში. გადაუდებლად უნდა განაწილდეს ევროკრედიტი, გაფორმდეს რუსეთის მიერ მოცემული კრედიტი.

ევროპის სტადიონებზე

კონტინენტის პოპულარული საკლუბო საფეხბურთო ტურნირების პირველი ეტაპის საპასუხო მატჩების შემდეგ საპატიო პრიზებისათვის ბრძოლას განაგრძობენ:

ჩემპიონთა თასზე

„ბარსელონა“, „მილანი“, „ვერდერი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „მონაკო“, „ანდერლეხტი“, „აუსტრია“, „ფეიენოორდი“, „სტეაუა“, „სპარტაკი“, „გალათასარაი“, „ლევსკი“, „პორტო“, „სპარტა“, „ლეხი“ და „კოპენჰაგენი“.

თასების მფლობელთა თასზე

„რეალი“, „აიაქსი“, „პარმა“, „ტორინო“, „აბერდინი“, „არსენალი“, „პარი სენ-ჟერმენი“, „ბენფიკა“, „სტანდარდი“, „პანათინაიკოსი“, „უნივერსიტატეა“, „ბაიერი“, „ბეშიქთაში“, „ტიროლი“, ცსკა (სოფია) და „მაკაბი“.

უეფას თასზე

„ატლეტიკო“, „ტენერიფე“, „დეპორტივო“, „ინტერი“, „კალიარი“, „იუვენტუსი“, „ლაციო“, „აინტრახტი“, „კარლსრუე“, „ბაიერნი“, „ბორუსია“, „ასტონ ვილა“, „ნორვიჩ სიტი“, „სპორტინგი“, „ბოავიშტა“, „ბორდო“, „დნეპრი“, „მეხელენი“, „ანტვერპენი“, „ბრონდბიუ“, „სერვეტი“, „ოფი კრეტა“, „ოლიმპიაკოსი“, „სელტიკი“, „კუუსიუსი“, „კაზინო“, „ტრაბზონსპორი“, „კონგსვინგერი“, „ბრანიკი“, „აპოლონი“, „მტკ“ და „ვალენსია“.

დღეს შვეიცარიაში, უეფას შტაბ-ბინაში მოეწყობა შემდეგი წრის კენჭისყრა, ხოლო ამ ეტაპის შეხვედრები გაიმართება 20 ოქტომბერს და 3 ნოემბერს.

კრიმინალური ქრონიკა

საქინფორმი იტყობინება: 28 სექტემბერს, 12 საათზე ყუმბარმტყორცნებით, „მუხებითა“ და ავტომატებით შეიარაღებული 80 პირი თავს დაესხა მარნეულის შინაგან საქმეთა განყოფილებას. მათ იარაღის მუქარით აიძულეს მცველები გაეღოთ დროებითი დაკავების საკნები. თავდამსხმელებმა გაიტაცეს სამი პატიმარი.

ზემო ავჭალის არასრულწლოვანთა შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის დაწესებულების თანამშრომლებმა სანიტარიულ ნაწილში და მშენებარე სკოლის პირველ სართულზე აღმოაჩინეს ორი შენიღბული მიწისქვეშა გვირაბი, რომელთა სიგრძე შესაბამისად ერთი და შვიდი მეტრია. გვირაბები აღმოჩენისთანავე საგულდაგულოდ ამოქოლეს.

საქინფორმი გვატყობინებს: ახალციხეში დააკავეს ბათუმელი ტ. გუმბერიძე. იგი სოფელ ღრელში თავს დაესხა მეურნეობის საწყობს და გაიტაცა ათასი კილოგრამი ხორბალი.

ავტომატებით შეიარაღებული ხუთი ნიღბიანი პირი თავს დაესხა სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკას. ყაჩაღებმა ხელ-ფეხი შეუკრეს საკუთრების დაცვის პოლიციელებს, სატვირთო ავტომანქანით გაიტაცეს 1 ტონა აბრეშუმის ძაფი და 500 კგ. ხამის ძაფი, სულ — 87 მილიონი კუპონის ღირებულების საქონელი.

29 სექტემბერს თბილისში ჭავჭავაძის გამზირზე 15 მშენებარე სახლის მესამე სართულზე ნახეს ორი გვამი, რომლებსაც თავის არეში მიყენებული ჰქონდათ ჭრილობები. ერთი აღმოჩნდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სანტექნიკოსი ვასილ ბარშჩიკოვი, ხოლო მეორის ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია.

მკვლელობის მოტივი და გარემოებები დგინდება.

ამ ფაქტების თაობაზე საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში.

25 ათასი დოლარის ღირებულებისა

თბილისის კომერციული ბანკების „თბილკომბანკისა“ და „მერკურის“, აგრეთვე მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენებისა და ბანკირების თაოსნობით შეიქმნა „აფხაზეთის დახმარების ფონდი“, რომლის მიზანია აფხაზეთში დაჭრილი მეომრებისათვის შეიძინოს და რესპუბლიკის საავადმყოფოებს გადასცეს საჭირო მედიკამენტები თუ გადასახვევი მასალა, რომლის მწვავე დეფიციტსაც დღეს განიცდიან რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებები.

ბანკმა „მერკურმა“ თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში შეიტანა 30 მილიონი კუპონის ღირებულების ანტიბიოტიკური პრეპარატები და გადასახვევი მასალა.

უახლოეს დღეებში თბილისის აეროპორტში დაეშვება ამ ფონდის მიერ მოსკოვში შეძენილი 25 ათასი დოლარის ღირებულების სხვადასხვა სახის სამედიცინო მედიკამენტებით დატვირთული თვითმფრინავი.

როცა ქვეყანაში ომია...

ინვალიდთა თანამეგობრობისა და თანადგომის საერთაშორისო კავშირი (პრეზიდენტი — პაატა ყიფიანი) თავისი არსებობის მხოლოდ ორიოდე თვეს ითვლის, მაგრამ ამ მოკლე დროის მანძილზე ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეძლო. გასულ კვირას გვარდიის სამმართველოს გადასცა ერთი მილიონი კუპონი, თბილისის მერიას კი — ერთი მილიონ 200 ათასი კუპონის ღირებულების შესახვევი მასალა. ამის გარდა, ინვალიდებს გაუწია მატერიალური დახმარება, ხოლო კასპის ინვალიდ ბავშვთა სახლს გაუგზავნა სხვადასხვა სახის პროდუქტები და თბილი ტანსაცმელი.

• • •

თბილისელმა ვაჭრობის მუშაკმა გ. ი. გოგიაშვილმა აფხაზეთის ომისთვის ვეტერან სპორტსმენთა, სპორტსმენთა და გულშემატკივართა მიერ შექმნილ დახმარების ფონდში შეიტანა 200 000 კუპონი.

ძვირფასო თანამემამულენო!

მოქალაქეთა დიდი ნაკადი აწყდება რკინიგზის სადგურებს და დედაქალაქის აეროდრომს, აკითხავენ თავდაცვის სამინისტროს. მათ სურთ მოხალისეებად წავიდნენ სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო აუწყებს მათ, რომ შეიარაღებულ ძალებში გაწვევა ხდება მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო კომისარიატების მეშვეობით.

ფრონტზე წასვლის მსურველებმა უნდა მიაკითხონ სამხედრო კომისარიატებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და თან უნდა იქონიონ სამხედრო ბილეთი და პასპორტი.

მოხალისენი სამხედრო ფორმის ტანსაცმელს და იარაღს მიიღებენ სამხედრო ნაწილებში.

საქართველოს შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამმართველო.

ხსოვნა

ლადო სულაბერიძე

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი **ლადო სიმონის ძე სულაბერიძე.**

ლადო სულაბერიძე მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე მშობელი ქვეყნის ინტერესებით სულდგმულობდა, მისი სატკივარი სტკიოდა, მისი სიხარული უხაროდა; უხმაუროდ, მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა მშობელ ერს, მშობლიურ ლიტერატურას.

ლადო სულაბერიძე დაიბადა 1919 წლის 20 აპრილს ვანის რაიონის სოფელ შუამთაში. 1941 წელს, მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ლადო სულაბერიძე, ჩაება ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში... 1942 წელს, ქერჩის ნახევარკუნძულზე ბრძოლისას, მძიმედ დაჭრილი ტყვედ ჩავარდა. 1944 წელს ქალაქ პოზნანში მოახერხა ტყვეობიდან თავის დაღწევა და კვლავ განაგრძო ბრძოლა. იბრძოდა კისტრინთან და ბერლინის მისადგომებთან...

ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა ლადო სულაბერიძემ საბჭოთა იმპერიის რეპრესიები განიცადა. ათი წლის მანძილზე გადასახლებული იყო შორეული აღმოსავლეთის საკონცენტრაციო ბანაკებში და მაინც არ დაუკარგავს სულიერი სიფაქიზე და ჭეშმარიტ პოეტად დარჩა.

ლიტერატურული მოღვაწეობა ლადო სულაბერიძემ 1935 წელს დაიწყო, როდესაც გაზეთ „ინდუსტრიალურ ქუთაისში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „გალაკტიონი“. მას შემდეგ ლადო სულაბერიძის ნაწარმოებები, სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

კრებულები „ჩემი ბილიკი“, „ჩრდილები მღერიან“, „შემოდგომის დღის ქრონიკა“, „ჩამავალ მზესთან“, „მეცხრე ტალღა“, „რჩეული“, „თეთრი ცეცხლი“ და მრავალი სხვა, რომელთაც ჭეშმარიტი პოეტის, ჭეშმარიტი შემოქმედის ხელი ატყვია, შეიყვარა ქართველმა მკითხველმა.

სულ ახლახან, ქართველმა მკითხველმა მიიღო ლადო სულაბერიძის რომანი „ცხადსიზმარიანა“, ჭეშმარიტად ადამიანური დოკუმენტი, რომელშიც შეულამაზებლადაა მოთხრობილი მატიანე პოეტი-ჯარისკაცის ბრძოლისა და ცხოვრებისა, ტანჯვისა და განწმენდისა...

წავიდა ჩვენგან ღირსეული მწერალი და მოქალაქე, რომელიც მუდამ მშობელი ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდა, რომლის გულწრფელი პოეტური სიტყვა ყოველთვის აღწევდა მკითხველის გულამდე. წავიდა და დაგვიტოვა თავისი მშვენიერი პოეტური შემოქმედება, მშვენიერი პოეტური სამყარო, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიჭერს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი.

ბესიკ ხაჩიშვილი

ჭეშმარიტი ქართველისათვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლე კი არა, სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავგანწირვის გრძნობა რომ არის, ამას დღეს უთანასწორო და უსამართლო ბრძოლაში ქართველების თავგანწირვაც ადასტურებს.

21 სექტემბერს, კიდევ ერთი ახალგაზრდის სიცოცხლე ჩაჩრა ბრძოლის ველზე; დაიღუპა სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების კიდევ ერთი წევრი, 23 წლის სპორტსმენი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ბესიკ ალექსანდრეს ძე ხაჩიშვილი, რომელიც მამაცურად იცავდა საქართველოს ყოველ გოჯ მიწას, აფხაზეთში ომის დაწყებამდე მის ხანმოკლე ბიოგრაფიას სამაჩაბლოს ბრძოლებში გამოჩენილი ვაჟკაცობა და თავგანწირვა ალამაზებდა, იბრძოდა, რადგან უკეთესი საქართველო უნდოდა, იბრძოდა, რადგან მშობლიურ საფიცარ მიწას ედავებოდნენ. ხუთი თვის დაოჯახებული მრავალშვილიან ქართულ ოჯახზე ოცნებობდა. უნდოდა მის შთამომავალს თავისუფალ საქართველოში ეცხოვრა. სამწუხაროდ, აღარ დასცალდა. დაქვრივდა კიდევ ერთი ახალგაზრდა მანდილოსანი.

მეგობრები, თანამებრძოლები და სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება სამძიმარს ვუცხადებთ ბესიკ ხაჩიშვილის ოჯახს.

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება.

ქალაქ რუსთავის მერია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპა საქართველოს პარლამენტის წევრი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ჟიული კალისტრატეს ძე შარტავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, დიდი ბუნების ადამიანი

ჟიული კალისტრატეს ძე შარტავა

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

თბილისი-ოჩამჩირის ქალთა სამშვიდობო აქცია „მანდილის“ მონაწილენი სამძიმარს უცხადებენ აქციის მონაწილე გორელ ცირა ჯაჯანიძეს შვილის

ალეკო ჩიტაძის

აფხაზეთში ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლამარა ილიას ასული ვეკუა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ აფხაზეთში საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ სამსახურის თანამშრომლები:

კაპიტანი **დავით თენგიზის ძე ნაცვლიშვილი**, უფროსი ლეიტენანტი **ვლადიმერ ლევანის ძე მურადოვი, ვასილ ზაქარიას ძე წიქლაური, ნიკოლოზ ზაქარიას ძე წიქლაური, გიორგი იუზას ძე ჩარგეიშვილი, პეტრე ივანეს ძე ბანძაშვილი, თეიმურაზ ლევანის ძე ზალდასტანიშვილი, ზურაბ ლევანის ძე ზალდასტანიშვილი, ზაალ გიორგის ძე ამაშუკელი, მალხაზ ივანეს ძე თითბერიძე, მალხაზ ჯემალის ძე ფარჯანაძე.**

საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის კოლექტივი თანადგომასა და თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი

მისამართი, 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შეგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 89.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

[illegible]